პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 131 (12947) | შაბათი, 6 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ეს გოგონები — დარიკო ბუკუკიშვილი (მარცხნივ) და ქეთევნა მელაძე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე „დიდი ქიმიის“ სამსახურში ჩადგნენ, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელ საწარმოში დაიწყეს მუშაობა და მოკლე. დროში წარმატებით აითვისეს ძაფის ამომხვევის პროფესია.

ახლა ისინი რუსთავის მოწინავე ადამიანთა წყებაში არიან, სინთეზური ძაფის ამოხვევის საუკეთესო ოსტატებად ითვლებიან.

ფოტო ს. კილაძისა.

ჩვენი წინსვლის ფუძურები

1958 წლის ოქტომბრის დღეებში, როდესაც საბჭოთა ხალხი ემზადებოდა სკკპ XXI ყრილობისათვის, მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრება. იგი წარმოიშვა მოსკოვის მახარობლებელი დეპოს კოლექტივში, იქ, სადაც საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე შედგა პირველი კომუნისტური შაბათობა, რომელმაც საფუძველი დაუდო ახალ მოძრაობას. ვ. ი. ლენინმა ამ შაბათობაზე განვრცრა არაჩვეულებრივად დიდი მნიშვნელობის საწყისი და თქვა: ჩვენ მივალთ კომუნისტური შრომის გამარჯვებამდე.

კომუნისტური შრომის ბრიგადისა და დამკვრელის საპატიო წოდების მოპოვებისათვის შეჯიბრების დაწყებიდან ხუთ წელზე მეტი გავიდა, და ახლა ყველა ხედავს, თუ რა უფართოეს განვითარებას მიაღწია ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრების ახალ ეტაპზე პირველ კომუნისტურ შაბათობათა მონაწილეების დიადმა თაოსნობამ.

ისწავლონ კომუნისტურად მუშაობა და ცხოვრება, საქმით გაამართლონ ახალი საზოგადოების აქტიური მშენებლების მაღალი წოდება! — აი ლოზუნგი, რითაც დაიწყო ბრძოლა კომუნისტური შრომის ბრიგადების საპატიო წოდების მოპოვებისათვის, დიდებული შვიდწლედის განხორციელებისათვის.

კომუნისტური შრომისათვის მებრძოლ ბრიგადებს მიზნად აქვთ დასახული შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდება, უახლესი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის, ცოდნის, პროფესიული დოსტატების დაუფლება. ისინი ვალდებულებას კისრულობენ დაიხმარონ ერთმანეთს სწავლაში, კულტურის ყველა სიმდიდრის დაუფლებაში, მტკიცედ დიცვან სოციალისტური მორალი, ერთად იბრძოლონ წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა მკაფიოდ მოწმობს იმას, რომ ხორციელდება დიდი ლენინის წინასწარდასახულმანი. დღეს არა მარტო ბრიგადები იბრძვიან კომუნისტური შრომის საპატიო წოდების მოპოვებისათვის, არამედ მთელი საწარმოები. კომუნისტური შრომის შუქურები ახლა მრავლად არიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ისინი გზას უნათებენ ყველას წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მშრომელებს, განსაკუთრებით მრეწველობის მუშაკებს, არასოდეს არ დაავიწყდებთ კომუნისტური შრომის პირველი მერცხლები — თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც გურამ ჩადუნელი ხელმძღვანელობს, და თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ბრიგადა, რომელსაც ზაურ რუსია თავკაცობს. შრომის ამ შუქურებს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდათ, ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში ფართოდ გაჩაღდა კომუნისტური შრომის ბრიგადების საპატიო წოდების მოპოვებისათვის ბრძოლა.

გადაიოდა დრო, და ამ ბრძოლის შედეგები რესპუბლიკის საწარმოებში შუქურვარსკვლავივით აკიაფდა. მოწინავე საწარმოებში, სადაც უფრო უნარიანად მოაწყეს შრომისადმი სიყვარულის ჩანერგვა, კოლექტივის დარაზმვა საწარმოო გეგმის წარმატებით განაღდებისათვის, სასურველ შედეგებს მიაღწიეს. წარმოებაში მომუშავეთა 40 პროცენტმა ღირსეულად დაიმსახურა კომუნისტური შრომის ბრიგადების საპატიო წოდება. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ დაიწყო მძლავრობა კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდების მოპოვებისათვის. კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობიდან მეხუთე წლისთავზე უკვე გაჩნდნენ კომუნისტური შრომის საწარმოები.

ბევრ საწარმოში თანამედროვეობის ეს შესანიშნავი მოძრაობა ნამდვილად მასობრივი გახდა და უდიდესი ნაყოფი გამოიღო. მაგალითად, თბილისის კერამიკულ კომბინატში, ჩაის საწონ ფაბრიკაში მომუშავეთა 90 პროცენტი ჩაბმულია კომუნისტური შრომისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. აქ მტკიცედ დამკვიდრდა კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების წესები. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ეს საწარმოები უკანასკნელი სამი წლისა გეგმებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით ასრულებენ და დამსახურებულად მოიპოვეს კომუნისტური შრომის საწარმოების საპატიო წოდება

ამ მაღალი წოდებისათვის იბრძვიან რესპუბლიკის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული და თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნები. ამ საწარმოებში კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელის მოპოვებისათვის მძლრობა უკვე მასობრივი გახდა. აქ ყოველი მეორე კაცი დამკვრელია ან კომუნისტური შრომის კოლექტივის წევრია. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ რუსთაველმა მეტალურგებმა ერ კიდევ 1962 წელს მიაღწიეს შვიდწლედის უკანასკნელი წლის მიზნას თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების მხრივ, ხოლო მილების წარმოების მხრივ შვიდწლედის მიზნას შარშან მიაღწიეს. ასევე მაღალნაყოფიერად შრომობენ თბილისელი ელმავალმშენებლები. წარმოებაში მტკიცედ დამკვიდრდა კომუნისტური შრომის ჩვეულება. შედეგები სასიხარულოა. 1963 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ელმავლების გამოშვება და ამით მიაღწიეს წარმოების იმ სიმძლავრეს, რაც შვიდწლედის ბოლოსათვის იყო გათვალისწინებული.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა. ამას ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების მაღალ წოდებას ატარებს 5.124 ბრიგადა, 688 საამქრო და უბანი, 26 საწარმო.

მაგრამ თუ ამავე ციფრებს ღრმად ჩავუკვირდებით და შევადარებთ სახალხო მეურნეობაში მომუშავე არმიას, ნათლად დავინახავთ, რომ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა ჯერ კიდევ არა დგას სათანადო სიმაღლეზე.

უწინარეს ყოვლისა ეს ეხება რესპუბლიკის ქვანახშირის, ხის დამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის, სამშენებლო ორგანიზაციებს, ვაჭრობის საწარმოებს, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს. აქ შეჯიბრების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფორმალიზმი, შეჯიბრების მონაწილეებს არ უქმნიან მაღალნაყოფიერი შრომის პირობებს.

კომუნისტური შრომის დამკვრელის კოლექტივის საპატიო წოდების მოპოვება სანუკვარი სურვილია. ამ საპატიო წოდების მოპოვება შრომითი მამაცობის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის აღიარებაა. მაგრამ ამ წოდების მიღება თვითმიზანი როდია. იმათ მხრივ, ვინც უკვე მოიპოვა ეს წოდება, შეცდომა იქნება დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, განცხრომას მიეცნენ. მუდამ უნდა ვიაროთ წინ, სრულყოფილ ჩვენი მუშაობა, დავეხმაროთ სხვებს მოიპოვონ ასეთივე წარმატებანი.

ვიმეორებთ დაუცხრომლად, ამხანაგებო! მაღალ ავწიოთ კომუნისტური შრომის მოძრაობის დროშა, მივაღწიოთ იმას, რომ კომუნისტური შრომის კოლექტივების მიღწევების დონეზე ავიყვანოთ მთელი წარმოების შრომითი მაჩვენებლის დონე და ამით დავაჩქაროთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება.

ამხანაგო მეჩაიეებო! სამეოცდა თქვენგან მოელის ახალ სეზონს — შვიდწლედი შეასრულოთ ექვს წელიწადში!

მათ თავი გამოიჩინეს

გალის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღე ძლიერდება ფოთლის კრეფის ტემპი. 4 ივნისს მოიკრიფა 308,4 ტონა „მწვანე ოქრო“, 5 ივნისს—310 ტონა, სულ სეზონის დაწყებიდან — 3.732 ტონა ჩაის ნედლეული.

სეზონის დაწყებიდან კარგად მუშაობენ **ახიგვარის** საბჭოთა მეურნეობაში. აქ უკვე მოკრიფეს 775 ტონა ფოთოლი. ჩაის ნედლეულის კრეფაში სახელი გაიმეტა მზიურის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც აპრილ-მაისის გეგმის გადამეტებით 8 ტონა მოკრიფა.

ადრე დილიდან გვიან საღამომდე ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ წყდება შემოქმედებითი მუშაობა. გუშინ მოიკრიფა 200 ტონა ჩაის ნედლეული, გუშინწინ — 193 ტონა, სულ სეზონის დაწყებიდან 3.400 ტონა.

ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოში გუშინ მოიკრიფა 240 ტონა ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან — 2513 ტონა, მაისისწინში ერდო მოკრიფოს 3.478 ტონა. სოფლების **აცანის, მამათის, ქვემო აკეთის, შუხუთის, ლესის, ღრმაღელის, ზემო აკეთის** კოლმეურნეობებში ფოთლის კრეფის დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბჭოთა მეურნეობებს შორის ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების და რენტაბელობის მიღწევისათვის **ოჩხამურის მეურნეობა მეცხრეჯერ ინარჩუნებს პირველობას და გარდამავალ დროშას.**

ამ დღეებში მეურნეობას გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს **ი. ფუთურიძეს** დროშები გადასცეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **შ. გრძელიშვილმა** და ქობულეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **დ. თებიძემ.**

ახალი ჯილდოთი აღფრთოვანებულმა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება აიღო გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 400 ტონა „მწვანე ოქრო“.

ᲞᲘᲠᲝᲒᲐᲡ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲒ

შარშან 7 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. თანამოსაქმეთა ქებაც დავიმსახურე და ანაზღაურებაც დიდი მივიღე. წელს გადავწყვიტე უფრო მეტი მოკრიფო. 0,5 ჰექტარი პლანტაცია საგულდაგულოდ დავამუშავე.

კარგად მოვლილ ბუჩქებზე ადრე დაიწყო ვეგეტაცია, უხვად შემოვიდა ნაზი დუღაბი. გადავწყვიტე წელს მოკრიფო 7 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“. ამით ორი წლის გეგმას შევასრულებ.

ჟ. გოგიტიძე,
ქობულეთის საწარმოო სამმართველოს ბობოყვათის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე.

ᲕᲘᲙᲘᲡᲠᲔᲗ, ᲒᲐᲕᲐᲜᲐᲦᲔᲒᲗ

დადგა ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების პასუხსაგები დღეები. ფოთოლი უხვად არის საკრეფად. ჩვენი რგოლის მეჩაიეები ყოველმხრივ მომზადებული შეეხვდით კრეფის სეზონს.

გასული წლის სეზონში 2,9 ჰექტარ პლანტაციაში რგოლმა მოკრიფა 19.398 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. პირადად მე 0,5 ჰექტარ პლანტაციაში 4 ტონა „მწვანე ოქრო“ მოვკრიფე.

წელს ჩვენი რგოლის ახალგაზრდა მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ მოკრიფონ სულ მცირე 20 ტონა ჩაის ფოთოლი. პირადად მე ნახევარ ჰექტარზე მოვკრეფ 5 ტონას. უკვე მოკრეფილი მაქვს ორ ტონაზე მეტი.

მ. ციციშვილი,
მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

შევქმნათ დამატებითი სახსრები დიდი ქიმიისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ კომუნიზმის დაჩქარებული მშენებლობისათვის, პარტიის XX, XXI და XXII ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამ დღეებში ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება მოვიწვიეთ და ტექნიკური პროგრესის საკითხები განვიხილეთ. წინა პლანზე დავაყენეთ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობის საკითხი.

ავწონ-დავწონეთ რა ჩვენი ცოდნა, რომელიც შეძენილი გვაქვს საშუალო ან უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, გავითვალისწინეთ თვითეულის პრაქტიკული გამოცდილება და ყურადღება მივაქციეთ ვალდებულებებს:

ინჟინრები რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების დანერგვით წელიწადში გავაკეთებთ იმდენ ეკონომიას, რაც გადაეკარებს ინჟინრისათვის განკუთვნილი ხელფასის წლიურ ფონდს. ტექნიკოსები კი ამავე გზით ავინაზღაურებთ ნახევარი წლის ხელფასს. მივაღწევთ იმას, რომ მოვიპოვოთ კომუნისტური შრომის დამკვრელის მაღალი წოდება.

ფართოდ გავუწევთ პროპაგანდას ტექნიკურ ცოდნას, ვეკისრებთ შეუფობას საწარმოო პერსონალზე მისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სისტემატურად ვიზრუნებთ საკუთარ სპეციალობათა დასაუფლებლად, გავიმდიდრებთ მას მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევებით.

თვითეული ინჟინრისა და ტექნიკოსის მიერ გაწეული მუშაობის შესაჯამებლად საზოგადოებრივ საუყისებზე შევქმნით ტექნიკურ საბჭოს.

ძვირფასო ამხანაგებო! მოგიწოდებთ ყველა საწარმოს ინჟინერ-ტექნიკოსებს გამოეხმაუროთ ჩვენს ინიციატივას. გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება დამატებითი სახსრების შექმნისათვის, რომელიც მოხმარდება დიდი ქიმიის განვითარებას.

საერთო კრების დავალებით: **ფ. ნაჰყუბია** — მადნეულმშენის სამმართველოს უფროსი, **ვ. ჭანავეტაძე** — სამმართველოს მთავარი ინჟინერი; **ბ. კუპატაძე, კ. გეგუჩაძე** — უბნის უფროსები; **ლ. მამრიკაშვილი** — დამხმარე საწარმოთა კომბინატის დირექტორი, **ა. მანუჩარიანი, ა. ავაკოვი, ა. კარაპეტიანი** — სამუშაოთა მწარმოებლები.



ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ვილნიუსი, 5 ივნისი (საკდესის კორ.). საშინელი ტრაგედია მოხდა ოცი წლის წინათ ლიტვის პატარა სოფელ პირჩიუპისში. იმ დღეს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა და მათ მსახურებმა — ლიტველმა ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა აქ ცოცხლად დაწვეს თითქმის ყველა მცხოვრები — 119 მშვიდობიანი მსვლელ-მთესველი, ქალები, ბავშვები, მოხუცები.

ადამიანები დაიღუპნენ, მაგრამ მათი სახელი სამუდამოდ ცოცხლობს— ეს სახელები ამოკვეთილია გრანიტის ლოდზე ქანდაკებასთან, რომელიც შექმნა ლენინური პრემიის ლაურეატმა გედიგინასს იოკუბონისმა. დაღუპულთა მესახლე იოსაპრაკელს ვილნიუსის ისტორიულ-რევოლუციურ მუზეუმში, სადაც გაიმართა მათი ხსოვნის საღამო, გულისტკივილით უამბო დამსწრეთ სასწაულით გადარჩენილმა ამკამად ლიტვის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ვირონიკა ბრაზაიტტემ, თუ როგორ დაწვეს მისი ნათესავები და მეზობლები.

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). ძველ მუშებსა და სპეციალისტებს ბევრი რამ აქვთ სამახსოვრო ამ მეურნეობაში. მათ კარგად ახსოვთ, როცა ამ მეურნეობამ — ხუთწლედის პირმშომ 1939 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩაის ნედლეულის წარმოებისათვის მაღალი შეფასება დაიმსახურა, საბჭოთა მთავრობამ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვა, საგამოფენო კომიტეტმა — პირველი ხარისხის დიპლომითა და მსუბუქი ავტომობილით.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ საწარმოო სამმართველოში გუშინ მოიკრიფა 240 ტონა ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან — 2513 ტონა, მაისისწინში ერდო მოკრიფოს 3.478 ტონა. სოფლების **აცანის, მამათის, ქვემო აკეთის, შუხუთის, ლესის, ღრმაღელის, ზემო აკეთის** კოლმეურნეობებში ფოთლის კრეფის დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲑᲖᲐᲠᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ

ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘ, (საკდესის კორ.). აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ტარას შევჩენკოს ძეგლი. უკრაინელი პოეტი-რევოლუციონერის უზარმაზარი ბიუსტი დადგმულია მაღალ კვარცხლბეკზე მუხის ტყეში, რომელიც გააშენეს დიდი კობზარის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით.

ძეგლის გახსნის აღსანიშნავად გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ — ᲝᲩᲮᲐᲛᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). ძველ მუშებსა და სპეციალისტებს ბევრი რამ აქვთ სამახსოვრო ამ მეურნეობაში. მათ კარგად ახსოვთ, როცა ამ მეურნეობამ — ხუთწლედის პირმშომ 1939 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩაის ნედლეულის წარმოებისათვის მაღალი შეფასება დაიმსახურა, საბჭოთა მთავრობამ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვა, საგამოფენო კომიტეტმა — პირველი ხარისხის დიპლომითა და მსუბუქი ავტომობილით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბჭოთა მეურნეობებს შორის ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების და რენტაბელობის მიღწევისათვის **ოჩხამურის მეურნეობა მეცხრეჯერ ინარჩუნებს პირველობას და გარდამავალ დროშას.**

ამ დღეებში მეურნეობას გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს **ი. ფუთურიძეს** დროშა გადასცეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **შ. გრძელიშვილმა** და ქობულეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **დ. თებიძემ.**

ახალი ჯილდოთი აღფრთოვანებულმა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება აიღო გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 400 ტონა „მწვანე ოქრო“.

ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ვილნიუსი, 5 ივნისი (საკდესის კორ.). საშინელი ტრაგედია მოხდა ოცი წლის წინათ ლიტვის პატარა სოფელ პირჩიუპისში. იმ დღეს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა და მათ მსახურებმა — ლიტველმა ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა აქ ცოცხლად დაწვეს თითქმის ყველა მცხოვრები — 119 მშვიდობიანი მსვლელ-მთესველი, ქალები, ბავშვები, მოხუცები.

ადამიანები დაიღუპნენ, მაგრამ მათი სახელი სამუდამოდ ცოცხლობს— ეს სახელები ამოკვეთილია გრანიტის ლოდზე ქანდაკებასთან, რომელიც შექმნა ლენინური პრემიის ლაურეატმა გედიგინასს იოკუბონისმა. დაღუპულთა მესახლე იოსაპრაკელს ვილნიუსის ისტორიულ-რევოლუციურ მუზეუმში, სადაც გაიმართა მათი ხსოვნის საღამო, გულისტკივილით უამბო დამსწრეთ სასწაულით გადარჩენილმა ამკამად ლიტვის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ვირონიკა ბრაზაიტტემ, თუ როგორ დაწვეს მისი ნათესავები და მეზობლები.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 4 ივნისი. (საკდესის კორ.). დღეს გორკის სახელობის კულტურის სასახლეში ერთმანეთს შეხვდა ორი შესანიშნავი კოლექტივი — „იაპონიის მომღერალი ხმები“ და მოსკოვის რეგოლუციის ვეტერანთა გუნდი. რუსმა და იაპონელმა მომღერლებმა გამართეს გაერთიანებული კონცერტი, რომელზეც უმღერეს მშვიდობას, ხალხთა მეგობრობასა და სოლიდარობას.

დარბაზში შეკრებილი ასობით მოსკოველი სულითა და გულით მიესალმა სტუმრებსა და გუნდის ხელმძღვანელს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს აკიო სეკის. ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის — „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების კოლექტიური წევრის — მუშებმა სამახსოვრო საჩუქარი მიართვეს იაპონელ მომღერლებს.

დღევანდელ კონცერტზე „იაპონიის მომღერალმა ხმებმა“ შეასრულეს მეშვიდე-კომპოზიტორის საკაე ობაკის მაღაროელთა სიმღერა „მიწისქვეშეთის ადამიანები“, მასწავლებელ-კომპოზიტორის კოძი კინოსიტის სიმღერა „ძირს ატომური ბომბი!“, საბჭოთა, კუბური და ინდონეზიური სიმღერები.

ნაწარმოებებიდან, რომლებიც რევოლუციის ვეტერანთა გუნდმა შეასრულა, იაპონელი სტუმრები განსაკუთრებით მხურვალედ შეხვდნენ ვ. მურადელის „ბუჰენვალდის ნაბათს“.

„ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲨᲔᲠᲘᲡᲮᲣᲚᲘ...“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲐᲯᲚᲝᲑᲘ

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲣᲚᲘ ᲒᲠᲝᲜ. (საკდესის კორესპონდენტი). წლევანდელ საექსკურსიო სეზონში აქ ნახავთ ახალ მასალებს, რომლებიც ასახავენ დიდი რუსი პოეტის მიხაილოვსკოეში გადასახლების დროის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ა. ს. პუშკინის დაბადების 165 წლისთავისთვის, რომელიც 6 ივნისს სრულდება, სახელმწიფო ნაკრძალს შეემატა პოეტის ნაწარმოებთა მთელი რიგი პირველი გამოცემები, მისი ავტოგრაფები, დაკავშირებული „ევგენი ონეგინზე“, „ბორის გოდუნოვზე“ მუშაობასთან, ლირიკული ლექსები. ალექსანდრე სერგის-ძის საწერ მაგიდაზე სოფელ მიხაილოვსკოეში გაჩნდა მუზეუმის უკანასკნელი შენაძენი — სამელნე და საგაზო ლამპა.

ნაკრძალში მიღებულია აგრეთვე რამდენიმე ტომი ტრეგორსკის ბიბლიოთეკიდან, რომლის წიგნებს კითხულობდა პუშკინი.

ყოფილ კარმიდამოში დამთავრდა აღდგენა ფლიგელისა, სადაც განლაგდება ახალი ექსპოზიცია, რომელიც აგვიწერს ა. პუშკინის ურთიერთობას ფსკოველ გლეხებთან, მათ მძიმე ცხოვრებას. ახლა სახე იცვალა აგრეთვე მემორიალურმა ხეხილის ბაღმა მიხაილოვსკოეში: იგი გაფართოებულია და ისეა, როგორც პოეტის სიცოცხლეში იყო.

დიდი პოეტის დაბადების წლისთავზე ნაკრძალში მოეწყობა პუშკინისადმი მიძღვნილი ტრადიციული სახალხო დღესასწაული.

3. ᲣᲚᲑᲠᲘᲮᲢᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ბაიკალ-ციმბირის ბუნების მარგალიტი: ლურჯდელვარებს ცივ, კრისტალურად სუფთა ტბა, რომელსაც გარშემო ტაიგით დაფარული მთები და თოვლიანი გოლცები აკრავს. ბუნებრივია, რომ გერმანელ მეგობრებს, რომლებიც ტბის ნაპირას ისვენებენ, ტბაზე სეირნობა მოუნდათ.

თბომავალი „ირკუტსკი“ დაბა ლისტვენიჩნის ნავმისადგომთან ელოდებოდა სტუმრებს.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი მეუღლითურთ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც თან ახლავან მას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. პ. კირილენკო და სხვები გემზე ავიდნენ.

თბომავალი ტბაში გავიდა. ირკუტსკელები გერმანელ ამხანაგებს ესაუბრნენ ბაიკალის თავისებურ ფლორასა და ფაუნაზე, მის სიმდიდრეზე.

გასეირნების შემდეგ ყველამ ნაპირზე მოიყარა თავი. ტყეში დიდ მდელოზე ადგილობრივი მებადურები ცეცხლზე „ციმბირულ მწვადებს“ წვავდნენ ახლად დაჭერილი კაპიტისაგან — ბაიკალის კალმახისაგან. ციმბირული მენიუ—ეხა, ნაკვეტლებზე შემწვარი თევზი ძალიან მოეწონათ სტუმრებს.

ამავე დღეს ამხანაგი ვ. ულბრიხტი და მისი თანამგზავრები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ბაიკალის ლიმნოლოგიურ ინსტიტუტს ეწვივნენ და დათვალიერეს მისი ძეგლები.

ირკუტსკის სასოფლო საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ვ. გრიცენკომ სადილი გამართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულბრიხტის პატივსაცემად. (საკდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 4 ივნისი. (საკდესის კორ.). დღეს გორკის სახელობის კულტურის სასახლეში ერთმანეთს შეხვდა ორი შესანიშნავი კოლექტივი — „იაპონიის მომღერალი ხმები“ და მოსკოვის რეგოლუციის ვეტერანთა გუნდი. რუსმა და იაპონელმა მომღერლებმა გამართეს გაერთიანებული კონცერტი, რომელზეც უმღერეს მშვიდობას, ხალხთა მეგობრობასა და სოლიდარობას.

დარბაზში შეკრებილი ასობით მოსკოველი სულითა და გულით მიესალმა სტუმრებსა და გუნდის ხელმძღვანელს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს აკიო სეკის. ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის — „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების კოლექტიური წევრის — მუშებმა სამახსოვრო საჩუქარი მიართვეს იაპონელ მომღერლებს.

დღევანდელ კონცერტზე „იაპონიის მომღერალმა ხმებმა“ შეასრულეს მეშვიდე-კომპოზიტორის საკაე ობაკის მაღაროელთა სიმღერა „მიწისქვეშეთის ადამიანები“, მასწავლებელ-კომპოზიტორის კოძი კინოსიტის სიმღერა „ძირს ატომური ბომბი!“, საბჭოთა, კუბური და ინდონეზიური სიმღერები.

ნაწარმოებებიდან, რომლებიც რევოლუციის ვეტერანთა გუნდმა შეასრულა, იაპონელი სტუმრები განსაკუთრებით მხურვალედ შეხვდნენ ვ. მურადელის „ბუჰენვალდის ნაბათს“.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ტოდორ პავლოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის განსამტკიცებლად მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და მშვიდობის დაცვის მძლავრობაში აქტიური მონაწილეობისათვის ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის სპატიო პრეზიდენტი აკადემიკოსი **ტოდორ პავლოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 ივნისი.

* * *

ტოდორ პავლოვი გამოჩენილი ბულგარელი მეცნიერი და

‹კომუნისტი› ჯალაგის ჯინჯარლით!

ჯალაგულ-სახელმწიფო კონტროლის ბიულეტენი №13

ამ გვერდზე წაიკითხეთ:

სახალხო კონტროლიორთა გამოცდილება

ლითონეგის მომჭირნეობ ხარჯვის საერთო საქართველო კონკურსი

გულჩვილი მოსამართლე და დეგიტორი თავმჯდომარე

კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თაოსნობა

კონტროლის ჩარევის შემდეგ

კარგი ინიციატივა

თეთრი წყაროს. (საკ. კორ.). ამას წინათ თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს სოფელ ჯორჯიაშვილის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა მოწოდებით მიმართა სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის მუშაკებს. აი რას წერენ ამ მიმართვაში ისინი:

„ჩვენ კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის წევრები, დაწერილებით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს, იქონ-დაენთეთ ჩვენი შესაძლებლობანი და ვკისრულობთ, რომ ინდივიდუალური წესით დავაშუშავებთ 10 ჰექტარ სიმინდის ნათეს ფართობს და კარგი მოვლა-პატრონობით ჰექტარზე საშუალოდ (ურწყავში) მოვიყვანთ 30 ცენტნერ სიმინდის მარცვალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერისა, ხოლო 2 ჰექტარი საკვები ჭარხლის ფართობზე. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 ცენტნერისა. ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ 250 ცენტნერ ჭარხალს.

ამ ინიციატივას ფართოდ დაუჭერეს მხარი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა.

აქტივის დასახმარებლად

ცხინვალი. (საკ. კორ.). გაიმართა საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის აქტივის თეორიული კონფერენცია-სემინარი.

საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა გ. ერემეევმა ილაპარაკა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ლენინური პრინციპების შესახებ, ხოლო დოცენტმა ვ. ფარქოსაძემ — პარტიულ-სახელმწიფო კონტროლისა და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების ურთიერთობის საკითხებზე. ასპირანტი ი. მახარაძე თავის საუბარში შეჩერდა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების სტრუქტურასა და მათი მუშაობის ზოგიერთ ფორმაზე.

მცხეთის საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ს. თოხვაძემ ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებათა შესრულებაში სახალხო კონტროლიორების ამოცანებზე.

თავიანთი საქმიანობის შესახებ ილაპარაკეს საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე საორგანიზაციო განყოფილების გამგემ შ. კიკალიშვილმა და კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარეებმა გ. გაბინაშვილმა და ზ. გამდლიშვილმა.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). თანამბრძოლი სემინარი, რომელიც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფების მუშაობას მიეძღვნა, შესავალი სიტყვით გახსნა ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა პ. სახეჩიძემ.

სამეურნეო სამუშაოების პერიოდში კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის საქმიანობაზე თანამბრძოლმა სემინარის მონაწილეებს მოუთხრო სოფელ ზოვრეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარემ ე. ბარბაქაძემ. „საქსოფლტექნიკის“ ზესტაფონის გაერთიანების კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარემ ნ. ნაქაძემ გააშუქა ტექნიკის მოვლა-შენახვასა და ექსპლოატაციაში სახალხო კონტროლიორთა მუშაობის საკითხი.

მიწათსარგებლობის, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის დაცვაში თავიანთ გამოცდილებაზე დამსწრეებს ესაუბრა სოფელ ფუთის კოლმეურნეობის კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე ს. სიხარულიძე.

ნაკლი—ეგის სინათლეზე!

ამბარაში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების შექმნის დღიდან ერთ წელზე მეტი დრო გავიდა. ამ ხნის მანძილზე აქ ბევრი რამ გაკეთდა შემდგომი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებისა და დირექტივების განხორციელების, რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის დარგში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა შემთხვევების, ბიუროკრატიზმისა და ჩვენი საზოგადოებისათვის სხვა შეუფერებელი საქციელის აღკვეთის საქმეში. ყოველივე ამას საკონტროლო ორგანოები აღწევენ მათს საქმიანობაში სახალხო კონტროლიორების აქტიური მონაწილეობით, მზრომელთა ფართო მასებზე დაყრდნობით.

ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის 538 ხელშემწყობი ჯგუფი და 1.807 საგუშაგო, რომლებშიც 10.828 კაცია გაერთიანებული. ესენი არიან მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები, პენსიონერები. ისინი ღრმად სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, გულდასმით სწავლობენ მშრომელთა სარჩოებს, საჭიროების შემთხვევაში პარტიული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციის, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების წინაშე აყენებენ საკითხებს მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ბევრ კონკრეტულ საკითხს კი თვითონვე ოპერატიულად წყვეტენ ადგილზე. ყოველივე ამას ისინი საზოგადოებრივ საწყისებზე აკეთებენ.

რა თქმა უნდა, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის სალაქმო. საკალაქო, რაიონული კომიტეტები ქმედითს დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ ამ ჯგუფებსა და საგუშაგოებს. ჩვენ ფართოდ ვავრცელებთ მათი საქმიანობის დადებითს გამოცდილებას.

იბრძვიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა, მათმა ხელშემწყობმა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა მუდმივი კონტროლი დაიწესეს რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საწარმოთა საქმიანობასა და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის გონივრულად გამოყენებაზე. ამან სახურველი შედეგი გამოიღო.

ბათუმის ქიმიური ქარხანა ქიმიური მრეწველობის წამყვანი საწარმოა დასავლეთ საქართველოში. მას დაკისრებული აქვს ჩაის, ციტრუსებისა და ვენახის მავნებელთა საწინააღმდეგო შხამმასალების დამზადება, ხოლო მეცხოველეობისათვის — ანტიბიოტიკების გამოშვება. მაგრამ, როგორც შემოწმებამ ცხადყო, ეს საწარმო თავს ვერ ართმევდა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ქარხნის ხელშემწყობი ჯგუფის ინიციატივითა და დახმარებით საფუძვლიანად შეეხისწავლეთ, შემდეგ კი სპეციალურად განვიხილეთ ეს საკითხი. დაესახეთ საჭირო ღონისძიებანი. ამის შედეგად ქიმიურმა ქარხანამ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა და სულ უფრო ზრდის პროდუქციის გამოშვებას.

500-ზე მეტმა სახალხო კონტროლიორმა მიიღო მონაწილეობა აჭარის სამრეწველო საწარმოებსა და ახალშენებლობებზე ლითონის ხარჯვის აღრიცხვის, შენახვის, გამოყენების მდგომარეობის მასობრივ შემოწმებაში.

მისასალმებელია, რომ შემოწმების პერიოდში ბათუმელმა გემთმშენებლებმა ლითონის ეკონომიისათვის ლაშქრობა გამოაცხადეს. შესანიშნავ თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის სხვა საწარმოთა კოლექტივები, რასაც შედეგად ათეულ ტონობით ლითონის დაზოგვა მოჰყვა.

ნაყოფიერად მუშაობს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ხელშემწყობი ჯგუფი, რომელსაც ძველი ბოლშევიკი ნ. კრული ხელმძღვანელობს. ხელშემწყობი ჯგუფი, რომელშიც 83 კაცია გაერთიანებული, შეუნელებლად იბრძვის ვაგონების და გემების უმიზეზოდ მოცდენის წინააღმდეგ. ამისათვის, რომ ყველა სახალხო-სამეურნეო ტვირთი დაუგვიანებლად იქნას გადაზიდული დანიშნულებისამებრ. ამის შედეგად უკანასკნელ ხანებში ნავსადგურში მინიმუმამდე შემცირდა გემებისა და ვაგონების უმიზეზოდ მოცდენა, ფართოდ დაინერგა გემების დამუშავების პროგრესული მეთოდი. ახლა ნავსადგურისა და ბათუმის რკინიგზის სადგურის მუშაკები უფრო შეთანხმებულად მუშაობენ, ვიდრე წინათ, და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ შრომაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადოდ შეაფასა ნ. კრულის საზოგადოებრივი საქმიანობა და იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ბათუმის ნავსადგურის ხელშემწყობი ჯგუფის მუშაობის დადებითი გამოცდილება ახლა ფართოდ ინერგება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელშემწყობი ჯგუფების საქმიანობაში.

ბათუმის ცენტრალური გადამტვირთავი ნავთობბაზის ხელშემწყობმა ჯგუფმა გამოავლინა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ბათუმის საქალაქო კომიტეტში დააყენა საკითხი ამ საწარმოს მთავარი დისპეტჩერის ი. პეტრიკის შეუფერებელი საქციელის შესახებ, რაც კლიენტების მიმართ გამომძალველობით გამოიხატებოდა. ეს ფაქტი შემოწმებით დადასტურდა. ი. პეტრიკის მიმართ მკაცრი ზომები იქნა მიღებული. ამავე ხელშემწყობმა ჯგუფმა პირველადი პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენა საკითხი ბაზაში არსებულ სხვა სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებაც. ეს სიგნალი საფუძვლად დაედო პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის დადგენილებას ბაზის ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ.

დიდი ამოცანებია დასახული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების წინაშე. მათი მთავარი საზრუნავია შეუნელებლად იბრძოლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

მეთამბაქოე კოლმეურნეობათა ხელშემწყობმა ჯგუფებმა, საწარმოო სამმართველოების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებმა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად მოაწყეს კოლმეურნეობებში თამბაქოს სანერგეების მოვლის მდგომარეობისა და დასარგავად ნიადაგის მომზადების მიმდინარეობის მასობრივი შემოწმება. გამოვლინდა ბევრი სერიოზული დარღვევა და ნაკლოვანება. კერძოდ, მთელ რიგ კოლმეურნეობებში თამბაქოს სანერგე მეურნეობები მოეწყო აგროწესების დარღვევით, კვალსამაურებში ჩარჩოები მორგებული არ იყო. ზოგან დროულად არ წარმოებდა ჩითილის გამოხელვა, საკვები ფენის შეტანა, მორწყვა და სხვ. ნელი ტემპით მიმდინარეობდა თამბაქოს დასარგავად ნიადაგის მომზადება და მინდვრად სასუქის გატანა. შემოწმების შედეგად გამოვლინებული მთელი რიგი ნაკლოვანებანი ადგილზევე იქნა გამოსწორებული.

ეს საკითხი განსახილველად შევიტანეთ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე. დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.

გონიოს საბჭოთა მეურნეობაში ადგილი ჰქონდა მიწერებს, მასალების ფლანგვასა და სახელმწიფო სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვას. საკითხი გულდასმით შეისწავლა მეურნეობის ხელშემწყობმა ჯგუფმა და დააყენა იგი ქობულეთის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტში. პარტიულმა კომიტეტმა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ხ. ნინიძე და მეურნეობის ზოგიერთი მუშაკი სამუშაოდან მოხსნა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა და მათმა ხელშემწყობმა ჯგუფებმა, დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია. ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლოვანებაა. კერძოდ, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი და საგუშაგო ჯეროვნად ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, ისინი ზოგჯერ უმოქმედობენ, თუმცა ამჩნევენ დარღვევებსა და დამახინჯებებს, მაგრამ არაფერს არ აკეთებენ მათ აღსაკვეთად.

საერთო მშენებლობის № 5 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოში სერიოზული ნაკლოვანებები იყო. ხელშემწყობი ჯგუფი და საგუშაგოები ამ ნაკლოვანებებს ვერ ამჩნევდნენ. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაცია ერთხელაც არ დაინტერესებულა მათი საქმიანობით.

მილიციის ქობულეთის რაიონულ განყოფილებაში მიჩქმალულ იქნა 1963 წლის სექტემბერში სოფელ ბობოყვათის № 2 მაღაზიაში 3.907 მანეთის უფაქტურო საქონლის გამოვლინების ფაქტი. ოპერრწმუნებულმა შ. ბოლქვაძემ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ საქმის გამოვლინება, სრულიად უსაფუძვლოდ შეადგინა დადგენილება იმის შესახებ, რომ დამნაშავის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულიყო. ეს დადგენილება კი უყოყმანოდ დაამტკიცა მილიციის განყოფილების ყოფილმა უფროსმა მ. სულაძემ, დაკავებული უფაქტურო საქონელი დაუბრუნეს მაღაზიის ყოფილ გამგე-გამყიდველს ს. ცივაძეს, რომელსაც დანაშაული მიუღია და უფაქტურო საქონლის მაღაზიაში შეტანასა და გაყიდვაში. ეს კარგად იყო ცნობილი მილიციის განყოფილების ხელშემწყობი ჯგუფისათვის, მაგრამ სიტყვა არავის არ დაუძრავს ამ ადმაშფოთებელი ფაქტის გამო.

ხელშემწყობი ჯგუფების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივი კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიული კომიტეტები საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ მათ. ეს ნაკლოვანებები უმოკლეს დროში უნდა აღმოვფხვრათ.

ა. ანთაძე,

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

‹ბ. ბ. ბ.›-ს ‹ბ. ბ. ბ.›-ს

ბათუმი. (საკ. კორ.). ‹ბ. ბ. ბ.›-ს ‹ბ. ბ. ბ.›-ს ‹ბ. ბ. ბ.›-ს

ᲒᲚᲕᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ

ᲖᲔᲗᲘᲡᲮᲘᲚᲘᲡ სანაპიროზე გავიცანით იგი.

ძნითა და ქარით, გარეული საბე აქვს. ოდნავ კეხიანი ცხვირი და ჭროღა თვალები, მწითური ულვაშები, ძლიერი ხელები. ასეთი ხელებით მგონი ნავთობის კოშკურა შეგიძლია ასწიო და ჩადგა ზღვაში. მას სერგო ჰქვია, ხაჩიძე.

— ზღვაში მოდიხართ? კარგია,—გაიღიმა და მეგზურად გაგვიძღვა.

ოწინარებივით სწოვდნენ მიწას ძაძუს ვეებერთელა ჯაბურღილები. ჰაერს ნავთობშეხვეული მარილის გემო ჰქონდა. როცა კოშკების ტყე გავიარეთ, ზღვაც გამოჩნდა. ნაპირთან დაბმულ კატარღას ფერდზე ტალღები სცემდა და საცოდავად აქანავებდა. ბრეზენტის ჯუბიანი და ქირზის ჩექმებიანი მუშები ტვირთავდნენ კატარღას. გემბანზე ეყარა ხის ყუთები, კოხსერვები, საწვავი ბასალაა ჭეხავთობები, ზღვის ფსკერთა მზერავები მორიგი რეისისათვის თადარიგს შეუდგომოდნენ.

კაპიტანმა ეუბნა თვალით ერთი შეგვათვალიერა თავით ფეხთამდე ფოტოაპარატებითა და ავტოკალმებით შეიარაღებული ჟურნალისტები — სწორედ თქვენ გაკლდათ ახლაო, გაიფიქრა—და დარიგება დაგვიწყო იმგვარად, როგორც პატარა ბავშვებს ტუქსაენ დედები.

— საკმაოდ ძლიერი ქარია,—კაპიტანმა თითქოს ბეშვით დაიჭირა ქარი,—თქვენ ვერ გაგიყვანთ ზღვაში. 5 ბალია... მალე ითიც გახდება. ღელვას ვერ აიტანთ... ღია ზღვა კიდევ რუსთაველის პროსპექტი როდია... ეჰ, დამანებეთ თავი...

ჩვენ არ დავანებეთ თავი.

კაპიტანი კიდევ კარგახანს ბუზღუნებდა, მაგრამ ბოლოს ხელი ჩაიქნია...

— წამოდით, ჯუკუს ისწავლთ...

უკან დარჩა ხეთისხილის სანაპირო, კატარღა ღია ზღვაში გავიდა. რაც უფრო ღრმად მიდიოდით ზღვაში მით უფრო მატულობდნენ კოშკები.

სანაპიროო კუნძულებს გავცდით. ზღვაში კოშკები მომრავლდნენ. თუმცა ხიდია, მათი კონტურები მაინც ჩანს ჭარკვეთილ. ეს კოშკები ადამიანების ხელების გაგრძელებაა. ადამიანი ხელებს აფათურებს ზღვის ფსკერზე, ეძებს იქ ნავთობს, გაზს... ვინც ეძებს, ის პოულობს. კასპიის ზღვის ფსკერი სისხლძარღვებივით დაუსერავთ მილებს, რომლებშიც გადის ცეცხლი—გაზი და ნავთობი. მათში სერგო ხაჩიძის ბრიგადის მიერ აღმოჩენილი ნავთობია და გაზიც გადის, ასე გასინჯეთ, თვით საქართველოს შავი ზღვისპირეთშიც. სერგო ამაყობს იმით, რომ მისი ნაპოვნი გაზიც ათბობს საქართველოს კერებს. კიდევ ორი თვე, და ხაჩიძის ბრიგადა ვადაზე ადრე ჩაადარებს მე-9 ჯაბურღილ-კასპიის ზღვაში... ეს ჩქაროსნული ბურღვის მიღწევა ითვლება. ყარადაღ-თბილისის გაზსადენში სერგო ხაჩიძის ბრიგადის მიერ ნაპოვნი გაზიც გაივლის და მეგობრობის ცისფერ ალად აენთება ქართულ ოჯახებში.

ტალღებმა იძალეს... ხან კატარღის ქიმზე ამსხვრევდა მარილიანი წყალი, ხან კიდევ გემბანს რეცხავს ტალღა. კაიუტაში ჩავდიოართ. კატარღა ირწევა და თავბრუ გვეხვევა. გაშმაგებული ზღვა ღრიალებს, ტალღების თხემზე კი არ მიცურავს, მიხტუნავს კატარღა. საუბრის თავი არა გვაქვს. ვუყურებ მენავთობეთა მშვიდ სახეებს და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა მიაყრობს. ისინი იზრდებიან ჩემს თვალში. ისინი ყოველდღე გადიან ასე ზღვაში. სამუშაო ადგილამდე—რკინის ბოძზე შემდგარ კოშკებამდე მიღწევა ასეთ ღელვაში ნამდვილი გმირობაა, და თუ ეს გმირობაა, მაშინ რა დავარქვათ მენავთობეთა შრომას ზღვის ფსკერზე, ნავთობის საბადოთა დაზვერვას, ღია ზღვაში ღამის გათევას.

— 6 ბალია,—წინ ვერ წავალთ, — ამბობს სერგო ხაჩიძე, ბურღვის ოსტატი, შავგრემანი ჩაფსკვნილი ვაჟკაცი,—აფსუს, ერთი დღე გვეკარგება...

მეორე დღეს ჰაერიდან შეეუტიეთ ზღვას. ვერტმფრენავი ჯაბურღილებისა და ტალღების სამეფოში ეშვება. ერთი საათი კატარღით, და „ოჩოფეხებზე“ — ფოლადის ბოძებზე მდგომ კუნძულებზე ხართ. აქ, ხმელეთიდან 100 კილომეტრზე, ერთი კვირა ცხოვრობენ და მუშაობენ ადამიანები. აქ ეძებენ ნავთობს, აქვე სძინავთ, აქვე ჭამენ, უყურებენ კინოს, ტელევიზორს, უსმენენ რადიოს. თვითმმსახურების სამზარეულო, თეთრად გაკთქალთებული ლოგინები საერთო საცხოვრებლებში. აგერ აბანო, თბილი წყალი შუა ზღვაში, ნიკელის რბილი საწოლები.

სასმელი წყალი ხმელეთიდან ჰოავეთ კატარღებით, ცისტერნებში ინახავენ. სურსათ-სანოვაგეც „დიდი ხმელეთიდან“ მოდის. ასე ეძახიან ამ მცირე ხელოვნურ კუნძულზე ბაქოს. ერთი სიტყვით, აქ კომფორტია.

საღამოობით რადიოტალღებს მიაქვთ ცნობა დიდი ხმელეთისაკენ...

... მე-9 კოშკზე ხაჩიძის ბრიგადა 4500 მეტრზე ეძებს ნავთობსა და გაზს ზუსტად შემუშავებული გეოლოგიურ-ტექნიკური გეგმების მიხედვით.

კასპიის ზღვაში ჩვენ ვეძებთ რომანტიკას, ხაჩიძის ცვლა—ნავთობს. ერთიც და მეორეც აქ ბლომად მოიპოვება.

სერგო ხაჩიძეს, ბორჯომის რაიონში დაბადებულ ვაჟაცს, ზღვა ადრე თვალითაც არ ენახა. მერე კი... „მოვიდა, ნახა და გიმარჯვა“.

ხშირად ასე წერენ მასზე. სინამდვილეში კი...

... როდესაც სერგო პირველად აღმოჩნდა შუა ზღვაში და კატარღა ნაფოტივით ათამაშეს ტალღებმა, მას ზღვის ფსკერზე ხელის ფათერის განწყობილება დაეკარგა.

სერგომ ფიქრის თვალით გახედა წარსულს. ბორჯომის ხეობა, სოფელი ტბა, მერე თბილისი, ნავთობის ტექნიკუმი, გეოლოგიური პარტია კავკასიონზე, პირველი გამარჯვება, პირველი წარუმატებლობა... ხაჩიძე უყურებს თავის ცხოვრებას, როგორც ფილმს, რომლის რეჟისორიც და ოპერატორიც თვითონ იყო... ამ ფილმში არაფერია ამოსაკრეფი და გადასაგდები, ყველაფერი ადგილზეა. აგერ ბაქო. აზიზბეკოვის სახელობის ნავთობის ინსტიტუტი. ნავთობის ბურღვის ფაკულტეტი. 1960 წელი... დიპლომით ხელში სერგო ბურღვის № 1 კანტორაში მივიდა. ეს არის ბაილოვში, ბაქოს ჩრდილოეთ სამხრეთ ნავსადგურთან... მივიდა სერგო, და პირველსავე დღეს შეაშინა ზღვამ.

— იქნებ ამოვჩრათ ეს კადრები ცხოვრების ფილმიდან?—ეკითხება სერგო თავის თავს.

— არა... მაშინ როგორ გაიგებს ჩემი შვილი ჩემს გზას პირველი შიშიდან იმ სიმშვიდემდე, რომელიც მეუფლებოდა ინჟინერს ქარბუქიან ღამით შუა ზღვაში, 30 გრადუსიან ყინვაში, როცა ხმელეთზეც არ მუშაობდნენ, ხოლო ჩვენი ჯაბურღილი შუა ზღვაში მაინც ზეგრავდა ზღვის ფსკერს?.. გაზეთებმა ამას გმირობა უწოდეს. მე მას სიმშვიდეს ვეძახი. ეს სიმშვიდე იყო და მეტი არაფერი...

დიახ, ეს იყო ზღვის მომთვინიერებლის სიმშვიდე...

ეს იყო წელს იანვარში. გაზეთებმა მთელ ქვეყანას მოსდეს სერგო ხაჩიძის ბრიგადის უმაგალითო გმირობის ამბავი.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ხელიხელჩაკიდებულები გამოდიოდნენ სამუშაოზე. ზღვაში იყვნენ მბურღველები ლეო ბაგდინ ტახმაზოვი, სომეხი ედიკ ასლანიანი, რუსი ვასილ ვასილიევი, აზერბაიჯანელი გაჯი მამედიაროვი, ქართველი სერგო ხაჩიძე... ოცამდე სხვადასხვა ეროვნების 24 კაცი... მათ სათავეში ედგათ სერგო ხაჩიძე... ადამიანებმა აქ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი ღირსეულად ატარებენ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელს.

... ღმუოდა გაავებული კასპიის ზღვა... ზზეფები საცხოვრებლის ფანჯრებს სცემდა. მთელი „კუნძული“ თითქოს გემი იყო, რომელიც მაარჯვედა 12 ბალიან ღელვას. არა, „კუნძული“ ჰგავდა ხომალდს, რომელმაც შუა ზღვაში ჩაუშვა ღუზა. მაგრამ ის ღუზა არ იყო. ის იყო ბურღი, რომელიც ოთხი-ხუთი კილომეტრის სიღრმეზე ეძებდა ნავთობს და გაზს... და „კუნძული“ ირწეოდა როგორც ხომალდი. როდესაც ქარიშხალმა გადაიარა, ერთი კვირის დრეიფის შემდეგ, ნაპირზე დაბრუნდნენ ს. ხაჩიძე და ზღვის მამაცი მზეკრავები. მათ უპატაკეს პირველ შემხვედრს კანტორის მთავარ გეოლოგს მუხტარ რასულოვს.

— არის ერთნახევარი გეგმა...

გაოცებული თვალები მიაპყრო რასულოვმა ხაჩიძის არწევებს.

— ეს მართლა ზღაპარს ჰგავს...

— „დიდი მიწიდან“ გვაცხობებს, ხვალ ამინდი ჩვეულებრივაო, სურსათს ამოგვიტანენ. კატარღით 9 საათზე, ფოსტა ვერტმფრენავით კუნძულ „ქილოდან“ საღამომდე ვერ მოვა... კვირას „ქილოდან“ მსახიობები ჩამოდიან ბაქოდან. თეთრეულს გამოცვლიან შაბათს.

მამედოვი გავიდა. ხაჩიძემ ტელევიზორი გამოართო, და უცებ გარკვეული გაისმა ტალღების ტყლაშუნი.

— არ გეძინებათ? არა? მეც ასე ვიყავი პირველ ღამეს... შუა ზღვაში ღამის თევა, თუ მიჩვეული არა ხარ... სიტყვა არ დაამთავრა ხაჩიძემ. ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

— იცით, ბავშვობაში პაპაჩემი მიყვებოდა ზღაპარს, შუა ზღვაში ზღვისკაცები ცხოვრობენო. მე კი არ მჯეროდა. აკი თვითონ გავხდი ზღვის კაცი.

— ამას უთუოდ ჩაიწერ ბლოკნოტში,— გავიფიქრე.

ტალღები ისევ ტყლაშუნობდნენ.

ხაჩიძე ღამის ოთხ საათზე უნდა ადგეს, ცვლას უნდა მიხვდეს,—გამახსენდა ოსტატის ხათქვამი. ძილი მაინც არ მეკარებოდა. თითქოს შუა ზღვიდან მიერეკებოდა ქარი ძილსა და ტალღებს ნაპირისაკენ.

ᲖᲐᲚᲓᲐᲪ ჩათვლემს შუაღამისას წამით. ადამიანებს კი არ სძინავთ. ეძებენ ნავთობს და გაზს ზღვის ფსკერზე... მე არ მაძინებდა ფიქრი მამაც მენავთობეებზე, რომლებიც ვახტზე იდგნენ. მენავთობეებზე, რომლებიც მეზღვაურებიც არიან. იმ მამაც ადამიანებზე, რომლებიც ამაღამ მყინვართა საფანდრებს იცავენ და შუაღამისას შუა ზღვის ფსკერზე ეშვებიან, თუ რამემ შეაფერხა ნავთობის ძიება.

გამახსენდა მამედოვის ნათქვამი, ხაჩიძე სდფელ ტბიდან ყოფილა, ბაქოში ჩამოვიდა და აქ ზღვა კვ დაიპყრო.

ეს ადამიანები ზღვის ფსკერზე იპყრობენ ცხოვრების უმაღლეს მწვერვალებს...

ეს ადამიანები ზღაპრისაგან სინამდვილეს ქმნიან.

ბარაქალა მათს მარჯვენასა და ვაჟკაცობას.

ᲕᲚ. ᲐᲚᲤᲔᲜᲘᲫᲔ.
ბაქო-თბილისი.

ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

თბილისელმა „ორჯონიკიძემ“ 19 მაისს იაპონიიდან საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანა იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების დელეგაციის წევრები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ სსრ კავშირ-იაპონიის საზოგადოების მოწვევით.

ნავსადგურ ნახოდკიდან სტუმრები გაეშვნენ ირკუტსკში, იყვნენ ხაბაროვსკში, ბრატსკში, მოსკოვში, ლენინგრადში, სოჭში. მათ დაათვალიერეს ამ ქალაქების დირსშესანიშნაობანი, სამრეწველო საწარმოები, დაწესებულებები და სხვ. ყველგან ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებს გულთბილად და მეგობრულად ხვდებოდნენ. მართებოდა საქმიანი საუბრები საბჭოთა ადამიანებთან.

2 ივნისს იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების დელეგაციის წევრები, რომელთა შორის არიან ამ საზოგადოების გენერალური დირექტორი მ ურ ა ი ც ი ხ ო რ ი ე (დელეგაციის მეთაური), ამავე საზოგადოების განყოფილების გამგე ტ ა დ ა ო ი ნ ო უ ე, იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი ო ს ა მ უ ძ ი ნ-ნ ო-უ ტ ი, ქ. აკატას მერი, იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების ადგილობრივი გამგეობის თავმჯდომარე დ ა ი ე კ ე კ ა ვ ა გ უ ც ი, იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების ქ. ოსაკას ადგილობრივი გამგეობის წევრი რ ი ო კ ი ტ ი ი ვ ა ტ ა და იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების ქ. ასახიგავას ადგილობრივი გამგეობის წევრი ი ს ო ა კ ი ᲛᲐᲛᲘᲐ, თბილისს ჩამოვიდნენ.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში სტუმრები მიიღო ამ საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გ ი გ ო შ ვ ი ლ მ ა. თბილისში ყოფნისას იაპონელებმა ნახეს დოკუმენტური ფილმები საქართველოზე, იყვნენ საწარმოებში, მუზეუმებში, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, შესვდნენ ქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. მ ე ლ ა ძ ე ს.

საქართველოში მოგზაურობის მესამე დღეს იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების დელეგაციის წევრები კახეთს გაემგზავრნენ. აქ სიღნაღში და ძველი ანაგის კოლმეურნეობაში იაპონელები ინტერესით ეცნობოდნენ საქართველოს კოლმეურნეთა საქმიანობას.

გუშინ დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს საქართველოს ისტორიული მუზეუმი, ყვავილების გამოფენა საქართველოს სურათების გალერიაში, ესტუმრნენ მცხეთას, ფასანაურს, გაისეირნეს სამხედრო გზით.

გაზეთ „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს“ კორესპონდენტი ეწვია იაპონელ სტუმრებს და სთხოვა დელეგაციის მეთაურს მურაიცი ხორიეს საბჭოთა კავშირში და საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები გაეზიარებინა ჩვენი მკითველებისათვის. მან განაცხადა:

— ჩვენი ჩამოსვლის მთავარი მიზანია კიდევ უფრო განვამტკიცოთ იაპონია-სსრ კავშირისა და სსრ კავშირ-იაპონიის საზოგადოებების კავშირი, მეგობრობა, გავეცნოთ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, საქმიანობას. უნდა ვთქვა, რომ ყველგან, სადაც კი ვიყავით, გვხვდებოდნენ გულწრფელად, მეგობრულად, გულღიად.

ᲛᲔᲖᲘᲙᲐ, 5 ივნისი. (საკდესი.) აქ გამოქვეყნდა მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის რეზოლუციაᲐ. რეზოლუციაში, კერძოდ, ნათქვამია:

ჩინეთის ხელმძღვანელთა უკანასკნელი დროის პრაქტიკული საქმიანობა მოწმობს, რომ ისინი მიმართავენ ფრაქციონიზმს, დამასნინჯებულად წარმოსახავენ სხვა კომუნისტურ პარტიათა პოლიტიკას, მიმართავენ საზიზღარ ცილისწამებასა და დამახინჯებებს, რაც უცხოა ჩვენი წინსულისათვის და რასაც წინათ ტროცკისტები იყენებდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლათინურ ამერიკაში ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილობენ შეურყიონ ლათინური ამერიკის ხალხებს რუშეინა საბჭოთა კავშირისადმი როგორც მოკავშირისა და ძირითადი დასაყრდენისადმი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩინეთის ხელმძღვანელთა მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობ ი ს ერთობას.

შემთხვევითი როდია, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები გაადფრენ ბით უტევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რადგან ეს პარტია გადაპრით და მტკიცედ იცავს მარქსიზმ-ლ ე ნ ი ნ ი ზ მ ი ს პრინციპებს, ავითარებს მარქსისტულ-ლენინ უ რ თეორიას ახლანდელ პირობებში და ძირითად დაბრკოლებას უქმნის მათს უბადრუკ მისწრაფებებს ჰეგემონიისადმი.

ჩვენს პარტიას მეტ წილ სხვა კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ერთად მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ავანგარდია, ყველაზე გამოცდილი პარტია ჩვენს მოძრაობაში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც სათავეში ჩაუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბრძოლას იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომლებსაც პიროვნების კულტის პერიოდში იყენებდნენ და რომლებმაც კოლოსალური ზიანი მიაყენეს კომუნისტების საქმეს მთელ მსოფლიოში, თვალსაჩინო როლი ეკუთვნის მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებისა და ახლანდელ ისტორიულ პირობებში მისი გამოყენების საქმეში, ჩვენი თეორიის შემოქმედებითი გამოყენებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთო ამოცანების ჩამოყალიბების საქმეში.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი სავსებით იზიარებს თვალსაზრისს, რომელიც ამხანაგ მ. ა. სუსლოვმა ჩამოაყალიბა მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1964 წლის 14 თებერვალს. იგი სავსებით ეთანხმება ამ მოხსენების დებულებებსა და თეზისებს და მოუწოდებს ყველა კომუნისტს შეისწავლონ და გაავრცელონ ეს მოხსენება.

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). გუშინ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დეკე ნემეშმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ აკადემიაში გააკეთა მოხსენება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

შეეხო რა ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველ საქმიანობას, მიმსხენებელმა აღნიშნა, რომ ისინი ცდილობენ რეაბილიტაცია უყონ სტალინის პიროვნების კულტს იმისათვის, რომ დაიცვან მაო ძე-დუნის კულტი და მისი ხელმძღვანელობის მეთოდები. მაგრამ მოძმე პარტიებს, ხაზგასმით აღნიშნა დეკე ნემეშმა, არ სურთ პიროვნების კულტი, არ სურთ დოგმატური სექტანტური პოლიტიკა, რომელიც პიროვნების კულტის შედეგია. ჩინეთის ხელმძღვანელობის მეთოდები ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის მთავარი საშიშროება, რომელიც მის ერთობას უქმნის საფრთხეს, ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველი საქმიანობა გახდა.

დასასრულ დეკე ნემეშმა გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი, ამასთან აღნიშნა, რომ ამ თათბირის გადადება ჩინეთის ხელმძღვანელებს სურთ გამოიყენონ თავიანთი გამთიშველი საქმიანობის გასაფართოებლად.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ

საზღვარგარეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ინდოეთის ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევას, რომელიც ჯავაჰარლალ ნერუს შეცვლის. მსოფლიოს ბევრი გაზეთი აქვეყნებს დაწვრილებითს ცნობებს ნერუს მონაცემლის ლ. შასტრის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, ბეჭდავს მის ბიოგრაფიას. დღეს ვაქვეყნებთ ფრანს პრესის სააგენტოს ცნობას ინდოეთის ახალი პრემიერ-მინისტრის შესახებ.

ᲚᲐᲚ ᲑᲐᲰᲐᲓᲣᲠ ᲨᲐᲡᲢᲠᲘ — ადამიანი, რომელიც ინდოეთის ახალი პრემიერ-მინისტრი ხდება, — ალბათ ყველაზე ტანმორჩილი სახელმწიფო მოღვაწე იქნება, რომელიც კი სათავეში სდგომია ესოდენ უზარმაზარ ქვეყანას.

მისი წონაა სულ 47 კილოგრამი, ხოლო სიმაღლე — 152 სანტიმეტრი.

ამჟამად შასტრი 60 წლისაა. დაბადებიდანვე — იგი დაიბადა პატარა სოფელში ბენარესის ახლოს — შასტრი ეწევა უბრალო, ზომიერ ცხოვრებას, რაც მის 450 მილიონ თანამოქალაქეთა უმრავლესობის ხვედრია.

იგი იხსენიებს, რომ ბავშვობაში ძალიან ღარიბად ცხოვრობდა და არ შეეძლო ფასი ეხადა ბორნით გადასვლაში მდინარეზე, რომელიც მის სახლსა და სკოლას შუა იყო. იგი ყოველდღე ცურვით გადადიოდა მდინარეს, წიგნებსა და ტანსაცმელს კი თავზე მიიკრავდა ხოლმე.

შასტრი ასეთსავე ასკეტურ ცხოვრებას ეწევდა სტუდენტობაში, აგრეთვე შემდეგაც, როცა გახდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის ენერგიული მოღვაწე, ოჯახის მამა და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მუდმივი წარმატებით სარგებლობდა.

ცხოვრობს ისე, როგორც ინდოელმა შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე საბჭოთა ხალხის მისწრაფებამ მშვიდობისადმი.

ძალიან კმაყოფილნი ვართ საქართველოში ყოფნით, შეხვედრებით — იყო ეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან შეგობრული და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში თუ ქალაქის საბჭოში, სიღნაღში თუ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში. მეოთხე დღეა ვტკბებით თქვენი შესანიშნავი ბუნებით, რომელიც იაპონიას მაგონებს.

სიამოვნებით ვაარგებლობ შემთხვევით და მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით აღფრთოვანება გამოვთქვა ქართველი ხალხის, მისი შრომისმოყვარეობის გამო და გულითადი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ასე გულთბილად გვხვდებოდა.

დღეს იაპონია-სსრ კავშირის დელეგაციის წევრები მოსკოვს მიემგზავრებიან.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ. „იაპონია-სსრ კავშირის დელეგაციის წევრები თბილისში. (მარცხნიდან) ტადაო ინოუე, ისოაკი მამია, მურაიცი ხორიე (დელეგაციის მეთაური), რიოკიტი ივატა, ოსამუ ძინ-ნოუტი და დაიეკე კავაგუჩი.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲒᲛᲝᲒᲔᲜ ᲩᲘᲜᲔᲚ ᲒᲐᲛᲗᲘᲨᲕᲔᲚᲔᲑᲡ

ᲛᲔᲮᲘᲙᲝ, 5 ივნისი. (საკდესი.) აქ გამოქვეყნდა მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის რეზოლუციაᲐ.

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). „ჩვენი ქვეყანა უნდა მიდიოდეს საკუთარი გზით განვითარებისა და პროგრესის საქმეში — სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგებში, მაგრამ ყველაზე მთავარი იქნება პროგრესი ეკონომიკის დარგში“, — განაცხადა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ჯგუფის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ინდოეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ლალ ბაჰადურ შასტრიმ. „ჩვენ მივდიოვართ ჩვენი მიზნისაკენ — სოციალიზმისაკენ კონსტიტუციური გზით პარლამენტის საშუალებით“.

გულწრფელად ნანდამ, რომელიც შემდეგ გამოვიდა სხდომაზე, ჯეროვნად დააფასა ახალი ხელმძღვანელი და თქვა, რომ შასტრის თავმდაბლობა ყველაზე დიდი ძალის ღირსია. იგი არჩეულია ხალხის ხელმძღვანელად, და ჩვენ ყოველი ღონისძიებით შეხარს დავუჭერთ ძალ. აღმასრულებელი კომიტეტი, თქვა მან შემდეგ, კვლავ შეკავშირებული უნდა იყოს, რათა შეასრულოს ის ამოცანები, რომელთა დამთავრება ვერ მოასწრო განსვენებულმა ნერუმ.

რამ სუბბაგ სინგჰი — პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მდივანი მიესალმა შასტრის აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ხელმძღვანელობის არჩევის შემდეგ და განაცხადა: აღმასრულებელი კომიტეტი მხარს უჭერს შასტრის და მხარს დაუჭერს ჯავაჰარლალ ნერუს იდეების განხორციელების საქმეში, დარწმუნებული ვართ, რომ შასტრის ხელმძღვანელობით ინდოეთს ეყოლება მყარი, შეკავშირებული, ძლიერი და უმწიკლო მთავრობა.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ

ᲯᲐᲕᲐᲰᲐᲠᲚᲐᲚ ᲜᲔᲠᲣᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ᲓᲔᲚᲘ, 5 ივნისი (საკდესი). ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საბჭომ გადაწყვიტა ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის საერთაშორისო პრემია განსაკუთრებული პრემიერ-მინისტრის ხსოვნის პატივსაცემად. პრემიას ყოველწლიურად მიანიჭებენ სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების საქმეში.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ

ᲓᲔᲚᲘ, 4 ივნისი. (საკდესი). „ჩვენი ქვეყანა უნდა მიდიოდეს საკუთარი გზით განვითარებისა და პროგრესის საქმეში — სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგებში, მაგრამ ყველაზე მთავარი იქნება პროგრესი ეკონომიკის დარგში“, — განაცხადა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ჯგუფის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ინდოეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ლალ ბაჰადურ შასტრიმ. „ჩვენ მივდიოვართ ჩვენი მიზნისაკენ — სოციალიზმისაკენ კონსტიტუციური გზით პარლამენტის საშუალებით“.

ᲙᲘᲛ ᲩᲝᲜ ᲞᲘᲚᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ კორეის მმართველი დემოკრატიული რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე კიმ ჩონ პილი იძულებული იყო დღეს გადამდგარიყო პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან სეულსა და სამხრეთ კორეის სხვა ქალაქებში მომხდარი სტუდენტთა მძლავრი დემონსტრაციების შედეგად. იუწყება სეულიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი. დემონსტრანტები მოითხოვენ გაუმჯობესდეს ეკონომიური მდგომარეობა სამხრეთ კორეაში, ლიკვიდირებულ იქნეს კორუფცია მთავრობაში და შეწყდეს იაპონია-სამხრეთ კორეის მოლაპარაკება.

ᲛᲣᲰᲐᲛᲔᲓ ᲘᲣᲡᲣᲤᲘ: ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘ — ᲛᲔᲖᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

4 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი დოქტორი მუჰამედ იუსუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში სამყურნალოდ და დასასვენებლად იყო.

აეროპორტში მუჰამედ იუსუფმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ხალხები ახლო მეგობრები არიან. ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა იმ ურთიერთობის ნიმუშია, რომელიც ემყარება ურთიერთპატივისცემასა და სრულ ნდობას.

მე თქვენს ქვეყანაში ვიყავი სამკურნალოდ და დასასვენებლად. მინდა ავღნიშნო, რომ ექიმები და მოსამსახურე სამედიცინო პერსონალი დიდად ცდილობდნენ, რათა აღედგინათ ჩემი ჯანმრთელობა, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუძღვნი მათ.

თქვენს ქვეყანაში მუდამ ვგრძნობდი საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა მთავრობის გულთბილ, კეთილ დამოკიდებულებას ავღანეთისადმი, მისი ხალხისადმი, პირადად ჩემდამი. საკდესის საშუალებით, განაცხადა პრეზიდენტ-მინისტრმა, უველაფრისათვის გულწრფელ მადლობას ვუძღვნი საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს. ავღანეთის მთავრობასა და ხალხს სურთ, რომ კვლავაც გაგრძელდეს საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკა. მთელ საბჭოთა ხალხს ვუსურვებ სრულ ბედნიერებას და გამოვთქვამ იმედს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პატივცემული ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვი კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 ივნისი. (საკდესი). გუშინ სამხრეთეიტნამელმა პარტიზანებმა საიგონიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 25 კილომეტრზე ხელთ იგდეს მთავრობის საგუშაგოები. როგორც იუწყება ასოშიე

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ლექსები და შეხვედრები

საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი **გიორგი ლეონიძე** თავის მკითხველებს ესტუმრა ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონებში. გულთბილად შეხვდნენ რაიონის მშრომელები გამოჩენილ პოეტს, მკვლევარსა და მოღვაწეს.

პირველად გიორგი ლეონიძე ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში ჩავიდა.

სუფსის კულტურის სახლში, რომ იტყვიან, ტევა არ იყო. საყვარელ პოეტთან შესახვედრად მოვიდნენ სოფლის მშრომელნი, ახალგაზრდობა, მეზობელი სოფლების წარმომადგენლებიც.

სუფსის საშუალო სკოლის ლიტერატურის წრის გაფართოებული სხდომა, რომელიც საქართველოს სახალხო პოეტ გიორგი ლეონიძესთან შეხვედრას მიეძღვნა, შესავალი სიტყვით გახსნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თამარ კუპრაძემ.

პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკეს მოსწავლეებმა მზია ბოლქვაძემ და დოდო ჯიჯიეშვილმა. საყვარელ სტუმარს მიესალმნენ სკოლის პიონერები.

ინტერესით შეხვდნენ დამსწრენი სახალხო მთქმელს ილია გუჯაბიძეს, რომელმაც წაიკითხა პოეტ – აკადემიკოსი **გიორგი ლეონიძის** **ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონის მეზრომელებთან** სადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

დასასრულ გამოვიდა პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე. მან მადლობა გადაუხადა შეკრებილთ გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი.

მეორე დღეს პოეტი ეცნობოდა ლანჩხუთის რაიონის ღირსშესანიშნაობებს, კოლმეურნეთა ცხოვრებასა და საქმიანობას.

საღამოს ლანჩხუთის კულტურის სახლში თავი მოიყარეს რაიონის მშრომელებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ.

პოეტ-აკადემიკოსისადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რევაზ ებრალიძემ.

პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ თამარ დოლიძემ, სტუმარს მიესალმნენ კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები.

გიორგი ლეონიძემ მადლობა უძღვნა რაიონის მშრომელებს, მის ხელმძღვანელობას ასეთი გულითადობისათვის, და წაიკითხა ახალი ლექსები.

გ. ებრალიძე.

გიორგი ლეონიძე ამასწინათ მაარაძის რაიონის მშრომელებს ესტუმრა.

პოეტთან შეხვედრას, რომელიც სასოფლო კულტურის სახლში მოეწყო, ესწრებოდნენ მუშები, კოლმეურნეები, რაიონის ინტელიგენცია, პარტიული და საბჭოთა აქტივი, აგრეთვე მეზობელი რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

მოსწავლე ლეილა კაჭარავამ წაიკითხა გიორგი ლეონიძის ლექსი „შინ მოუსვლელო, სადა ხარ?“.

პოეტს მიესალმა შრომის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სამამულო ომის მონაწილე გურამ ბოლქვაძე.

შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ორაგველიძემ გ. ლეონიძეს გააცნო კოლმეურნეობის გამგეობის სხდომის გადაწყვეტილება, რომ პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე მიღებულ იქნა შრომის კოლმეურნეობის წევრად. მან პოეტ-აკადემიკოსს კოლმეურნეობის წევრობის წიგნაკი გადასცა.

რ. ცეცხლაძე.

* * *

სურათზე: მარცხნიდან — პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე და შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ორაგველიძე.

ფოტო ვ. უუშიტაშვილისა.

„დაისი“ კვლავ აქტიურდება მოსკოვში

გასტროლები ყრილობათა სასახლეში

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თბილისს ზ. ფალიაშვილის სახელმბრის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიქტორმა **არჩილ ჩიმაკაძემ** თქვა:

— 10 ივლისს ჩვენი თეატრის კოლექტივი სრული შემადგენლობით მიდის მოსკოვში, სადაც 15 ივლისს დაიწყებს თავის გასტროლებს ყრილობათა სასახლეში. ჩვენი გასტროლები იქ დამთავრდება 31 ივლისს, რის შემდეგაც რამდენიმე სპექტაკლს გავმართავთ გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მწვანე თეატრში.

გასტროლების რეპერტუარი შემდეგია. ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ტრუბადური“, „ფაუსტი და ვალპურგის ღამე“ და ბალეტები — „ოტელო“, „დემონი“, „გორდა“, „გედის ტბა“, „ბალეტის სალამი“.

თეატრის მომავალმა გასტროლებმა დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია ჩვენს კოლექტივში. ყველა მუშაკი დიდი გულმოდგინებითა და ხალისით მუშაობს, ჩინებულად აქვს შეგნებული, თუ როდინ პასუხსაგებია გამოსვლები მოსკოვში, სადაც ჩვენი თეატრი უკანასკნელად დეკადაზე იყო 1958 წელს. ზემოხსენებული რეპერტუარისათვის ვამზადებთ ორ ახალ დადგმას: თეატრი ახალი დადგმით აჩვენებს დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ ოპერა „აბესალომ და ეთერს“ შემსრულებელთა ახალი შემადგენლობით; მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორია ოდისეი დიმიტრიადი, დამდგმელი — თეატრის მთავარი რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი, მხატვარი — ი. ასკურავა; და „ფაუსტსა და ვალპურგის ღამეს“ — მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორი — გ. აზმაიფარაშვილი, დადგმა ვ. ტაბლიაშვილისა. „ვალპურგის ღამე“ ნაჩვენები იქნება ვ. ჭაბუკიანის დადგმით, მხატვარი — მ. მურვანიძე.

რუსთაველის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტისაგან

რუსთაველის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება, რომ კანდიდატურათა წარმოდგენა პრემიების მოსაპოვებლად **შეწყდება ა/წ 1 სექტემბერს.**

პრემიაზე წარდგენილი ნაწარმოებები და ამ ნაწარმოებებთან დაკავშირებული ყველა მასალა სათანადო წესით უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: **თბილისი, მაჩაბლის ქ. 13, საქართველოს მწერალთა კავშირი, რუსთაველის პრემიების კომიტეტი.**

სიცოცხლის ტრფიალი

მოთხრობა

ჩვენი მინდორი დიდია, ძალიან დიდი, თვალუწვდენი. მინდვრის ყოველ ნაწილს თავისი სახელი აქვს: ვაკე, ნეიმარი, ოლე, შვინდყელი. ეს სახელები ვინ იცის როდის ან რისთვის შეარქვეს. მაგრამ ჩვენ მათს ისტორიას არ გამოვუდგებით.

ეს თვალუწვდენი მინდვრები გაზაფხულობითა და ზაფხულობით ქალის ნაზი თითებით მოქსოვილ ხალიჩაზე უფრო მშვენიერია. მაშინ ბუნება თავისებურად ნაირფერებად მოაგვირისტებს ხოლმე. ზამთრობით თოვლის საბანი ხურავს, ხოლო შემოდგომით ჩალის ყვითელ ღერებს ეცუღლუტება ეული ხიავი. ასეთი ყოფილა ბუნების წესი.

ამ მინდვრებზე ხან მკვდრული დუმილი მეფობს, ხან კი გასაოცარი გრიალი ისმის. ახლაც ვაკეში ხვნა დაწყებულა და ტრაქტორების გუგუნით სავსეა მიდამო.

ერთ-ერთ ტრაქტორზე ზის ქალი, მას თავზე თეორი მოსახვევი წაუკრავს, პატარა, ქალური მაგრამ შრომაში გაკაჟებული ხელები მაგრად ჩაუჭერია საჭისათვის. ხან გადაშვებულ მინდორს გაჭყურებს, ხან კი მოუხნავს, და გუნებაში ანგარიშობს, როდის გადაშვდება დანარჩენიც.

სოციალისტიკურ შეჯიბრებაში მრავალჯერ გამარჯვებულმა მამაკაცებს ახლაც თამამად უნდა გაუსწოროს თვალი.

ლელა ქალი ნერვიულად გადახედავს ხოლმე საწვავის კასრებს და მღელვარედ ჩაილაპარაკებს:

— რამდენჯერ გაკაფრთხილე ბრიგადირი, საწვავი არ მომაკლო-მეთქი, სქელი ყურები აქვს!..

საწვავი ნაძირალი და უსუფთაოა. ტრაქტორისტი მაინც აძლევს საწვავს და მაშინ თოფის გასროლის ხმასავით რაღაც სკდება, თვალუწვდენი მინდორი გუგუნით ივსება. ლელა ქალს ძალიან უყვარს ეს ხმა. თოფის დაცლის ხმა. განა მარტო ლელას? ქართველი ხალხი რამდენ რამეს აღნიშნავს თოფის დაცლით: ახალწლის მობრძანებას, პატარძლის მოყვანას, ვაჟის დაბადებას და კიდევ ვინ მოთვლის რას არა.

განა თოფის გასროლის ხმასთან არ იყო დაკავშირებული იმ შავბიჭას გაცნობაც.

— მართალია!.. — გუგუნით ადასტურებს ტრაქტორი. ლელას საჭისათვის მაგრად ჩაუჭერია პატარა, შრომაში გაკაჟებული ხელი. ფიქრი კი ქედში გადაფარენს, სადაც დაიბადა და აღიზარდა. დაიბადა, მაგრამ მის დედას მისი აღზრდა აღარ დასცალდა, დაბადებას გადაჰყვა. გოგოსა ძამამ და სამმა ძმამ გაზარდეს. გაზარდეს ბიუურად. ცხვარსა და ძროხას ერთად მწყემსავდნენ, ცხენები ძმებთან ერთად დაჰყავდათ საძოვრებლად. გაიზარდა, დაქალდა, მაინც ბიჭებთან იყო, ძმებთან და ძმების ამხანაგებთან. არა გრძნობდა, რომ ბიჭებისაგანა ძალიან განირჩოდა, როცა დაქალდა. მაგრამ ბიჭებმა ძმების ამხანაგმა დიდი ხანია იგრძნეს და შეუყვარდათ. ამიტომ ხშირად აბრაზებდნენ და „ბიჭაჭუას“ ეძახდნენ.

ერავინ იცის, როდემდის გაგრძელდებოდა ასე, ის შავბიჭა რომ არ გამოჩენილიყო.

...მთიდან დაბრუნებულ ცხვარს ელოდნენ. უფროსმა ძმამ შინაკაცად იყო. უმცროსი ძმები და მამა ცხვარში იყვნენ) ცხენები შეაზმა. ერთი თავისთვის, მეორე დისთვის. ჯერ უნდა ერწყულებინათ და მერე მომავალ ცხვარს დედოფლის წყაროსთან დახვედროდნენ. ამხედრდნენ, ცხენები შეახურეს და ერთმანეთს გაეჯიბრნენ. ლელა ცხენის ფაფარს ჩაეჭიდა და ბიჭურად დასხედა. შეჩვეული ცხენი ისე გაფრინდა, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებსო.



ტრაქტორი დაღმართზე მოგუგუნებდა. მოახლოვდა. მის ხმაზე ცხენები შეკთნენ. მხედრებმა მაგრად დაუჭირეს თავები, მაგრამ შეშინებული პირუტყვის შეკავება არც ისე ადვილია. როცა ტრაქტორი უფრო მოახლოვდა, ტრაქტორისტმა მხედრებსა და დაფეთებულ ცხენებს თვალი შეავლო, ეშმაკურად ჩაიცინა: ქედელები უნდა შეეამინოო. ტალიანი თოფებივით მანქანას ტყაჩატუჩი დაეწყებინა. მისმა ფანდმა გასჭრა. ლელას ცხენი, აქამდე თვინიერად რომ ემორჩილებოდა პატრონის ხელს, გადირია. ჯერ რამდენიმე დიდი ნახტომი გადაქცეოდა. მერე ყალყზე შედგა. თითქოს ზღაპრულ რაშივით ცაში აფრენას აპირებსო. ლელა ცხენს კისერსა და ფფაფარში ჩაეფრინდა. ერთხელ კი მოასწრო, რომ ტრაქტორისტისათვის შეეხედნა: შავ გადაბმულ წარბებ ქვეშიდან გამომზირალ, მომღიმარ, ნაღვერდალივით თვალებს შეეფეთა. გული ჩასწვა.

ტრაქტორისტმაც წუთით შეაღო თვალი ყალყზე შემდგარ ცხენზე ქანდაკებად დაკრულ გოგოს თეთრ უიარმის სახესა და ყელ-კისერს, მერე გაფრენილ ცხენს გააყოლა თვალი, ცხენს კი არა, გოგოს, ნაწნავები რომ გაშლოდა და ხვეული თმა ბეჭებზე ეყარა. ჩაილაპარაკა:

— ეს გასაქრობი, ნამდვილი ბიჭაჭუაა!

— ვაი შენ, თუ იმ ცხენმა იმ გოგოს რამე დაუშავა... — შესძახა ძმამა და ისიც ცხენმა გაიტაცა. მაგრამ ტრაქტორისტს როდის ეწყინა ეს მუქარა.

— მართლაც და ახლა მომინდა ტყაჩუნი?—ინანა, ცოტა ხანს მარნც მემზარ. იმ ალქაჯისათვის, რა ვიცი კიდევ ვნახავ სადმე? უჰ, რა გოგო იყო!

ტრაქტორისტმა მალე იოვნა ალქაჯი ეთო გოგო, ან კი როგორ ვერ ამოვნიდ: ქედში ყველაზე მშვენიერ გოგოს. იმ ალქაჯსაც თურმე მისი ნახვა ნატვრად გადაქცეოდა. ახლა ეგრნონ დაქალება და თავის ძმებსაც კი ერიდებოდა, დარდი არ შემატყონო. ტრაქტორისტი სიხარულით ცას ეწია. გოგოს თანხმობით გათამამებულმა ძმებს მიმართა, მაგრამ მათ ცივი უარი სტაცეს. მიზეზი ბევრნაირი დაასახელეს. გოგომ რომ გაიგო, — ალქაჯია!—ფიქრობს ძმა. ეამაყება. თვალით ეალერსება მის გრძელ ნაწნავებს, ქარი რომ უშეწყავს. ცხენი წყალზე ჩაიყვანა, ვაჟურად გადმოხტა. ნაზია, ფოთოლივით მსუბუქი და შინდის ყელრტივით მოქნილი. ცხენს ლაგამი წამოჰყარა. გავაზე ხელი დაჰკრა. გაატარ-გამოატარა, რომ პირუტყვს ქარი ამოეღო. თან მამის სიტყვებს იმეორებდა: ამ მადლიან ქედის მიწას ერთი ნაკელი აქვს, ერთადერთი. წყალი არ არის, წყალი! წყლისთვის ამ სიშორეზე მოვდივართ. რამდენჯერაც ეს გაუელიდა, იმდენჯერ მამის ნათქვამი ბევრი რამ გაახსენდებოდა. მამა სიტყვაძუნწი იყო. იშვიათად იტყოდა რამეს, და რაც უთქვამს, ლელას ყველაფერი ახსოვს.

— ჩვენ ეაქა-ფშაველამ ჩამოგვასახლაო. აქ რომ მოსულა და გადაუხედნია ამ ადგილებისათვის, უთქვამს: „ეს ხომ ქედია, ამას შირაქი ვინ დაარქვა“. ბევრი ბრძოლაც დასჭირვებია აქ ფშავლების დასახლებისათვის.

მაინც რას არ აკეთებს ახლა ადამიანის გონება და ხელი, და ქედში წყალი როგორ ვერ უნდა გააკეთონ. ამ ფიქრში იყო. ძმაც მოვიდა.

— მოჭკალი ცხენი!.. — თითქოს უსაყვედურო, მაგრამ ულვაშებში და თვალის ძირებში მაინც ეღიმებოდა. ეს ლელას არ გამოპპარვია. ცხენები არწყულეს და აღმართს ნელა შეუყვნენ. ორივე მამასთან და ძმასთან შეხვედრაზე ფიქრობდა. მაგრამ უჩვეულო გუგუნმა მიიპყრო მათი ყურადღება. ძმას ენახა და ვაგვნა, რომ რასაც ერთ კვირას ცხრაულელი ხარ-კამეჩი ხნავს, ეს ერთ დღეს აკეთებსო. ლელას არ ენახა. ლელა ქალს ახლა პირველი შვილი—ვაჟის დაბადება მოაგონა. ვაჟის შეძენით გახარებულმა მამამთილმა, აქეთ და მოტაცებით მოყვანილი ლამაზი რძალი მყავსო, ძველებურად თოფის გასროლით აუწყა ქვეყანას პირველი შვილშვილის, ბიჭის დაბადება.

ლელა ქალი აწყა სამი შვილის დედაა. სახელგანთქმული ტრაქტორისტი, ლენინის ორდენოსანი. ამ დარბაისელ ქალში ვინღა იცნობს „ალქაჯსა“ და „ბიჭაჭუას“. რა ვუყოთ, თუ მის წაბლისფერ ხვეულ თმას ჭაღარა შეჰპარვია, ცოტა შესთხელებია კიდეც. მის რძისფერ სახეს სითეთრე დაჰკარგვია, შუბლზე და თვალის გუგებში ნაოჭები გამრავლებია. მაგრამ რა, ცხოვრება ასე ყოფილა დასაბამიდან!.. მისი მშვენება მის მემკვიდრეებს გადაეცა.

გუგუნებდა ტრაქტორი. იდგა ახლად გადახნული მიწის სუნი. ნელი ნიავი მოუხვევდა მიწაზე დარჩენილ ნამჯას ელამუნებოდა, თითქოს ეჩურჩულებოდა:

— ხედავ, ტრაქტორზე ქალი ზის, მაგრამ ისეთი დაუღალავია, რომ ამაღამაც არ აპირებს შესვენებას.

ცაზე გასაოცარი წესრიგით, ყიყინით გადაიფრინეს გარეულმა ბატებმა. მოსაღამოდა. მზის ჩასავალთან წითელი ღრუბლები მოგროვდნენ. მალე კიდევაც ჩამობნელდა. მაგრამ რა, ტრაქტორისტი საკუთარ სინთლეს ჩართავს. კიდეც გაანათებს და კიდეც მოხნავს. ლელა ქალის მოხნულ მიწაზე პური მოვა.

და აი ლელა ქალის თვალწინ გადაშავებულ მიწაზე ზღვასავით მღელვარე ოქროსფერ ჭიკანი აბიბინდა. ოქროსფერი ოავთავები დაიყარა...

— კიდევ არ მოდიან!—ჩაიბუზღუნა ლელა ქალმა და ტრაქტორის ხმას ყური მიუგდო, თვალით კი სადღაც გაიხედა. შორს შენიშნა ორი წითელი წერტილი. ეს ორი წერტილი ტყის სიღრმიდან გამომყურე მშიერი მგლის თვალები კი არა, იმ მანქანის ნათურები იყო, რომელიც ტრაქტორისტს უახლოვდებოდა.

საწვავი მოიტანეს...

ქეთევან ხაჩიაშვილი.

...და აფეთქება არ მომხდარა

ცხინვალი. (საკ. კორ.). ექიმი ვიქტორ ჯუღოვი სუფოროვის ქუჩით საოლქო საავადმყოფოსკენ მიეშურებოდა. მან კომუნალური საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე სათავსებში ცეცხლი შეამჩნია.

ვიქტორმა იცოდა, რომ იქვე, სულ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ცხინვალგაზის კანტორის გაზის बალონების საწყობი იყო. ექიმმა არ დააყოვნა და სათავსის კარს ეცა, მაგრამ მას დიდი ბოქლომი ედო.

ცეცხლი ძლიერდებოდა. ექიმმა იქვე მეორე სათავეში მოძებნა ცული, ფიცრის კარი შეამტვრია, ვედროებით წყალი მოზიდა და მოკალაქე ბორის კაბისოვის დახმარებით ცეცხლი ჩააქრო. მათმა მამაცურმა საქციელმა საწყობის გვერდით მცხოვრებლებს თავიდან აიცილა საშინელი აფეთქება, რომელსაც შეეძლო დიდი ზარალი გამოეწვია.

დათვებზე ქონადირები

ლენტეხი. (საკ. კორ.). ნარეულ კოლმეურნეებს დიდ ზიანს აყენებდნენ დათვები. ისინი თავს ესხმოდნენ პირუტყვს. შეშფოთდნენ მწყემსები და მწველავები. მათ მტაცებლების მოსპობა განიზრახეს.

ლენტეხის მეფუტკრეობის მეურნეობის დირექტორმა ბიძინა ფურელიანმა, ტყის მცველმა ოთარ ჭურსაბედიანმა და სხვებმა ორ დღეში ხუთი დათვი მოკლეს.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

უიმბლდონის ასპარეზობაზე

მალე ინგლისი ჩოგბურთელთა დიდი ასპარეზობის ბოლმე გახდება. აქ მოეწყობა ბეკენმ-კლუბისა და კუინს-კლუბის, აგრეთვე უიმბლდონის ტრადიციული ტურნირები. ამ უკანასკნელს მსოფლიოს არაოფიციალურ პირად პირველობას უწოდებენ და აღიარებულია „ვარსკვლავთა“ ფორუმად.

ჩვენი ჩოგბურთელები ასეთ შეჯიბრებაში პირველად როდი გამოდიან. მათ ბრძოლის დიდი გამოცდილება შეიძინეს და წარმატებასაც აღწევენ. ბეკენმ-კლუბის ტურნირი 8 ივნისს დაიწყება. ამის შემდეგ ჩვენი ჩოგბურთელები კიდევ ერთ თვეს დაჰყოფენ ინგლისში და შეხვედრა ექნებათ მსოფლიოში აღიარებულ სპორტსმენებთან.

საბჭოთა ჩოგბურთელების რიგებში არიან ა. დმიტრიევი, თ. ლეიუსი, ა. მეტრეველი, ს. ლიხაჩოვი, აგრეთვე მოსწავლეები ვ. კოროტკოვი (მოსკოვი), ა. იეანოვა (თბილისი).

●

ჩვენი ოლიმპიელები

როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური ნაკრებთა პირველი შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ტოკიოს საგზურისათვის დამთავრდა ფრედ 1:1. ამ გუნდების მეორე შეხვედრა შედგება 7 ივნისს მოსკოვში.

დამტკიცებულია საბჭოთა ოლიმპიელების სია. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში შევიდნენ — ურუშაძე, ბაუეა, ლისიცინი, მუდრიკი, პონომარიოვი, შესტერნევი, შუსტიკოვი, ბლოტოვი, კორნეევი, ანიჩკინი, მასლოვი, ბიბა, შიკუნოვი, სერებრიანიკოვი, ბაზილევიჩი, სვეიდოვი, მალაფეევი, ბ. კაზაკოვი, ბურჩალკინი, კოპაევი, ლობანოვსკი.

●

სიახლენი „ტორპედოსა“ და „ალაზანში“

ჟუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივის უფროსად და უფროს მწვრთნელად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ა. ჟორდანია,** მწვრთნელებად — სპორტის ოსტატები ა. ნორაკიძე და ჯ. რუსაძე.

ცვილისი მოდა აგრეთვე გურჯაანის „ალაზნის“ გუნდში. აქ უფროს მწვრთნელად დანიშნულია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ნ. ჩხატარაშვილი.**

●

„კოლხიდის“ ტურნე ნორვეგიაში

გასული წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იყვნენ ნორვეგიის ქალაქ ტრონჰეიმის ნაკადგურის მუშა ფეხბურთელები. ისინი ეწვივნენ ლენინგრადს, ტუაფსესა და ფოთს.

საპასუხო ვიზიტით ნორვეგიაში გაემგზავრა ფოთის „კოლხიდა“, რომელიც ქალაქებში სკინში, ბოდსა და ტრონჰეიმში გამართაევენ საერთაშორისო მატჩებს ნაკადგურების მუშათა გუნდებთან.

სსრ კავშირის თასზე

კიდევ ორი მეთექვსმეტედფინალური მატჩი შედგა გუშინ ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე.

ჩელიაბინსკის „ლოკომოტივმა“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა ყაზინოკის „მოლდოვა“ ანგარიშით 3:2.

იაროსლავლის „შინიკმა“ ლვოვში მოუგო ადგილობრივ „კარპატს“ 1:0.

●

ჩემპიონის წარმატება

მოსკოვში ორ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის, რსფსრ და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

პირად ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ე. ავერკოვიჩი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

გუნდურ პაექრობაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა.

●

ქართველ ეტიუდისტთა მამარჯვება

ამ დღეებში ცნობილი გახდა 1963 წელს გაზეთ „ზაპოროჟსკაია პრავდის“ მიერ გამოცხადებული საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის საერთაშორისო კონკურსის შედეგები.

კონკურსზე საეტიუდო ნაწილში დიდი წარმატება ხვდათ თბილისელ საჭადრაკო ეტიუდისტებს **ვ. კალანდაძესა** და **ვ. ნინიძეს,** რომელთა კოლექტიურმა ნაწარმოებმა I-II ადგილები გაინაწილა ცნობილ საბჭოთა ეტიუდისტ ა. კაზანცევთან (მოსკოვი) ერთად.

ნ. ბელაძე.

●

რამდენიმე სტრიქონით

△ **გუშინ** გურჯაანში გაიმართა „ბ“ კლასის გუნდების მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ალაზნისა“ და ბათუმის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა 2:0.

△ **მატჩი** მოსკოვში დედაქალაქისა და ლენინგრადის ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 5:2.

●

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ზესტაფონის სახალხო თეატრს მიენიჭა **უშანგი ჩხეიძის** სახელი. (საქ ფესი).

საღ დავისვენოთ კვირადღეს?

გულია მასპინძელი

რეპორტაჟი

მაღლიდან დავყურებთ თბილისის ზღვას. მის გარშემო მწვანე ბორაკები გადაჯაჭულან. ზღვა მშვიდად სუნთქავს უძირო ცის ქვეშ. ლურჯი ზღვის შეკერცხლილ მკერდზე აკვნებივით ირწეიან ნავები, კატარღები და გემი „თბილისი 1500 წლისაა“. ცოტა მოშორებით კი ისრისწვერა ბაიდარებით შეჯიბრება გაუმართავთ კუნთმაგარ ჭაბუკებს.

გავყურებთ იქაურობას, და გულს უხარია. ოდესღაც ხრიოკი და მიგდებული ადგილი ულამაზეს კუთხედ უქცევია ადამიანის მადლიან მარჯვენას.

მოასფალტებულ გზას დავყევით. დროდადრო გრილი ნიავი ნორჩ ნარგავებს ამრიალებს და შემდეგ ამწვანებულ ბორაკებში იკარგება.

შორიდანვე შევამჩნიეთ თბილისის წყალჯომარდობის სადგურის დირექტორი ვლადიმერ ასათიანი. იგი დამსვენებლებს ესაუბრება. მიჯუახლოვდით. ლაპარაკი არ შეუწყვეტია, ისე ჩამოგვართვა ხელი.

— კი, ბატონო, თქვენი ნებაა. რამდენ ხანსაც გსურთ ისეირნეთ. შეგიძლიათ თბილისის ზღვის ყოველი კუთხე-კუნჭული დათვალიერეთ.

დამსვენებლებმა მადლობა უთხრეს. კატარღისაკენ წავიდნენ. მძღოლები ნ. ნიკარაძე და ა. ბუდილგინი მათ კატარღაში ჩაჯდომაში შველიან. შემდეგ საკესთან ჯდებიან და მეზავრების სურვილისამებრ მიაკრიან ზღვის ხან ერთი, ხან მეორე კუთხისაკენ. კატარღების ნაკვალევზე წყლის შხეფების კორონტელი რჩება.

ბევრი ნიჩბიან ნავს ირჩევს. მათ ალბათ ზღვასთან შეშა უფრო იზიდავთ.

მზე ზენიტს უახლოვდება. წყალჯომარდობის სადგურს დამსვენებლები ემატება.

— ეტყობა, დღეს ბევრი დამსვენებელი გესტუმრებათ.

— ხულ არ მაშინებს ეგ ამბავი, — ამბობს ვლადიმერი. — ცოტა კი გაგვეტრდა, მაგრამ სუნთს საკმაოდ მოშზადებული შევხვდით. სრულ მზადყოფნაშია ცხრა კატარღა. აგერ, ის მეათე კატარღაც მალე მზად იქნება, — გვითხრა მან და ხელით გვანიშნა. იქვე მიტო გიგოლაური კატარღის მოტორის შეკეთებაზე მუშაობს. მაზუთიანი ხელით ოფლს იწმენდს. მის სახეზე შავი ლაქები რჩება.

— ორშოცამდე ნიჩბიანი ნავი გვაქვს. მარტო გემი ორასამდე კაცს იტევს. ისე, რომ ერთდროულად რამდენიმე ასეული კაცს შეგვიძლია მოვეგზავნეროთ, — ღიმილით თქვა ვლადიმერმა და გვთხოვს გემისაკენ წავყვეთ.

საუბარი გემის კიბელმა შეგვაწყვეტინა. მძღავრად გუგუნებს მისი მოტორი. ალბათ, თავის ენაზე ამბობს, ეს მისი მერამდენე რეისია და გასულ წელს რამდენ დამსვენებელს მოემსახურა.

ხალხით სავსე გემმა ერთხელ კიდევ იკიცა. იგი მარჯვედ შემოაბრუნა კაპიტანმა ვ. ბერიანიძემ. ზღვა შეტორტმანდა. გემი ორივ რეისში გაემგზავრა.

— გაგესეირნათ გემით, დიდ სიამოვნებას მიიღებდით. ნახევარ საათში ოცამდე კილომეტრს გაცურავდით.

— კარგი იქნებოდა, მაგრამ ახალი პლაჟი უნდა მოვინახულოთ, — ვლადიმერს დავიმშვიდობეთ.

მზე ზენიტზეა. საგრძნობლად ჩამოცხა. ზღვის შუაგულში პეპლებივით მოჩანან იალქნიანი ნავები. გეგონებათ, ცა ზღვას სიფაფრეში გაჯიბრებიაო, ღრუბლის ნაგლეჯიც კი არსად მოჩანს.

მეთევზეები ზღვაში ვიწროდ შეჭრილი ნახევარკუნძულის ორივე მხარეს ჩამწკრივებულან. ისვრიან ანკესებს და მერე დაძაბულად უყურებენ ფრად ტივტივებს. ქანაობენ ტივტივები... ზოგი მეთევზე ტუჩს იკვნეტს, ზოგი კისერს ისრესს. ნერვიულობენ. მათ ჩვენი მიახლოება ვერც კი გაიგეს.

ერთ-ერთმა მეთევზემ კისერი დაიგრძელა. წამოიწია. ტივტივა წყალში ჩაიმალა. მეთევზეს თვალები გაუბრწყინდა. ოცი სანტიმეტრის სიგრძის ვერცხლისფერი თევზი წყლით სავსე ვედროში ჩაუშვა. მეზობელმა ნაძალადევად გაიღიმა.

ისე გაგვიტაცა თევზაობამ, ანკესები რომ გვქონდა, ალბათ ჩვენც ჩამოვსხდებოდით მათ გვერდით.

ზღვის პირას ყოველი ფეხის ნაბიჯზე დამსვენებელთა ჯგუფია. ზოგი ბურთს თამაშობს, ზოგი მზეზე ირუჯება, ზოგიც წყალს ვერ მოსცილებია.

დამსვენებელთა ერთ ჯგუფთან მივედით. თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის ცვლის ბრიგადირ-მექანიკოსის ს. მერაბოვის ოჯახის წევრები და მათი მახლობლები აღმოჩნდნენ. სერგოს მეუღლეს მარინეს ხელსაქმე წამოუღია. მათი ქალიშვილი დოდო, მომავალი ქიმიკოსი, ახალი ეურნალ-გაზეთებით არის გატაცებული. მზია კი თბილისის ზღვის ლამაზი პეიზაჟებით ტკბება. იგი მუსიკის მასწავლებელია. ვინ იცის, შეიძლება ამ წუთში ტკბილი ქართული მელოდია იბადება.

— ხშირი სტუმრები ხართ თბილისის ზღვისა?

— თითქმის ყოველ კვირადღეს აქ ვატარებთ. — ღიმილით გვეუბნება ს. მერაბოვი.

— ესე იგი კმაყოფილი ხართ...

— უფრო კმაყოფილი ვიქნებოდით, მოძრავი ბუფეტები რომ იყოს. თორემ რესტორანი ისე შორს არის, რომ მთელი დღე ეჭვავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **ქალაქი ბანკიდან,** ვაკის პარკი — **სამშობლოს დაშორებით,** 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **პაპა ყოვლისმცოდნის ომის ოქროს სამი ბეწვი,** საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლმეურნე, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა სახლი — **რომეო, ჩემო მეზობელო,** ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ტრაგიკული ნადირობა,** გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **ელექტრა,** ოფიცერთა სახლი, კოლმეურნეობის ბაღი, ხაკადული — **რთული თამაში,** კოსმოსი — **ჩამოიყვანეთ ცოცხლები,** თანამგზავრი — **სიყვარული სიმღერაში** (I-II სერია), კიროვის სახელობის პარკი — **როკო და მისი ძმები** (I-II სერია).

სად დავისვენოთ

...ეს ხომ ქედია, ამას შირაქი ვინ დაარქვა“.

...ეს ხომ ქედია, ამას შირაქი ვინ დაარქვა“.

...ეს ხომ ქედია, ამას შირაქი ვინ დაარქვა“.

...ეს ხომ ქედია, ამას შირაქი ვინ დაარქვა“.

...ეს ხომ ქედია, ამას შირაქი ვინ დაარქვა“.

...ეს ხომ ქედია, ამას შირაქი ვინ დაარქვა“.

...ეს ხომ ქედია, ამას შირაქი ვინ დაარქვა“.

...ეს ხომ ქედია, ამას შირაქ